პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 სექტემბერი ხუთშაბათი
1972
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 222 (15435)

სესიის დარბაზიდან

მოსკოვი. სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. სურათზე: დეპუტატები იღებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

ხალხის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის

19 სექტემბერს ნაშუადღევს კრემლში პალატების სხდომათა დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სხდომა.

დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ვ. ვ. გრიშინს, კ. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნის, ი. ვ. ანდროპოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს.

სხდომა გახსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. პ. შიტიკოვმა. მას შეაქვს წინადადება, რომ დეპუტატი ი. ს. გრუშეცკი გაათავისუფლონ კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრის მოვალეობისაგან იმასთან დაკავშირებით, რომ იგი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ. დეპუტატები დაეთანხმნენ ამ წინადადებას.

შემდეგ სიტყვა თანამოხსენებისათვის ეძლევა კავშირის საბჭოს ბუნების დაცვის კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ა. ვ. გეორგიევს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე განსახილველად წარმოდგენილ საკითხს „ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“, თქვა ა. ვ. გეორგიევმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერების ამოცანათა გადაწყვეტისათვის. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ჩვენს ქვეყანაში გაწეულია ჭეშმარიტად უდიდესი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას, მთელი რიგი რაიონების ბუნების გარდაქმნას.

ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა ფართო პროგრამა ჩამოყალიბებულია პარტიის XXIV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში. ყრილობის დირექტივებში აღნიშნულია გარემოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის, მიწების, წყლის რესურსებისა და ტყის სიმდიდრეების, მინერალური ნედლეულის გამოყენების გაუმჯობესებისათვის მუშაობის მთავარი მიმართულებანი.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ მოხსენებაში, რომელიც პალატების გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს, ყოველმხრივ განიხილეს ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების დარგში პარტიის მიერ შემუშავებული პროგრამის პრაქტიკული განხორციელების ძირითადი საკითხები. ბუნების დაცვის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიები მხარს უჭერენ მთავრობის ღონისძიებებს.

ა. ვ. გეორგიევი შეეხო გაჭუჭყიანებისაგან წყალსატევებისა და გარემოს დაცვას და აღნიშნა, რომ სამინისტროები ხშირად ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ წყალსაცავებისა და ატმოსფერული ჰაერის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს, ურიგდებიან საწარმოებში ბუნების დაცვის კანონმდებლობის უხეში დარღვევის ფაქტებს. ეს აღნიშნეს ბუნების დაცვის კომისიებმა, რომლებმაც შარშან განიხილეს საკითხი „ქიმიური, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობისა და ფერადი მეტალურგიის სამინისტროთა მუშაობის შესახებ“.

კომისიების აზრით, სამინისტროებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა თავიდან აიცილონ წყალსატევებისა და ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება, შეამცირონ და მთლიანად შეწყვიტონ გაუწმენდელი ჩამდინარე წყლების გაშვება წყალსატევებში და სამრეწველო ნარჩენებისა — ატმოსფეროში. საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იყოს სპეციალური კარი, რომელშიც მოცემული იქნება გარემოს დაცვის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, კერძოდ, კაპიტალური დაბანდება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გაუმჯობესებისა და მისი ხარისხის ამაღლების მიზნით სამშენებლო სამინისტროებმა უნდა შექმნან სპეციალიზებული ორგანიზაციები, რომლებიც უმაღლეს ტექნიკურ დონეზე, უახლესი ტექნიკის გამოყენებით შეასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო და ამუშავება-გამართვის სამუშაოებს.

ჩვენს ქვეყანაში, თქვა ა. ვ. გეორგიევმა, მდინარეების წყლის რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება სულ სხვადასხვა ღონისძიებათა დიდი კომპლექსი. მაგრამ მთიან რაიონებს, სადაც უშუალოდ სათავეს იღებს ბევრი მდინარე, გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოთ. კომისიის აზრით, საჭიროა შევიმუშაოთ სპეციფიკური კომპლექსური ღონისძიებანი ასეთი რაიონებისათვის. ეს ღონისძიებანი უნდა მოხმარდეს სავარგულების (მდელოების, ტყეების) რაციონალურ გამოყენებასა და ერთდროულად მდინარეთა კვების ზონაში ხელსაყრელი ჰიდროლოგიური რეჟიმის შექმნას.

შემდეგ ა. ვ. გეორგიევმა განაცხადა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაევალოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დააწესოს სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება წყლის გამოყენების დარგში.

თანამოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მიწის ნაყოფიერების გაზრდის, მიწების მელიორაციის სამუშაოების, ნიადაგების ეროზიის, დამლაშების, დაჭაობების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

კომისიების აზრით, კერძოდ, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს რეკულტივაციისათვის განკუთვნილი მიწების აღრიცხვის ორგანიზაცია; უნდა დაწესდეს იმ ზარალისა და დანაკარგების ანაზღაურების წესი, რომლებიც თან სდევს მიწების ჩამორთმევას არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის.

დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა, თქვა ა. ვ. გეორგიევმა, წიაღისეულთა რაციონალური და კომპლექსური გამოყენების უზრუნველყოფა. ამ დარგში ჩვენში ჯერ ყველაფერი არ გაკეთებულა. ბევრი სახეობის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების დროს ჯერ კიდევ გვაქვს დიდი დანაკარგები.

დეპუტატი შეეხო მეცნიერების როლს ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების საქმეში და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი წარმატებანია მოპოვებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლებისა და ეროზიისაგან მათი დაცვის, მიწების რეკულტივაციის, ტყის, თევზისა და სამონადირეო მეურნეობის რაციონალური გაძღოლის, გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერისა და წყალსატევების დაცვის ღონისძიებათა შემუშავებაში.

მაგრამ მეცნიერული კვლევის ორგანიზაციის ნაკლია ის, რომ ისინი როგორც წესი, განიხილავენ ერთი დარგის ინტერესებს და არ მოიცავენ ბუნებაში არსებულ რთულ ურთიერთკავშირს, არ ითვალისწინებენ, რომ ერთი რიგის რესურსები მჭიდროდ არიან დამოკიდებული მეორეზე. კომისიებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ განიხილონ საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას სპეციალური სამეცნიერო ცენტრი, რომელიც მოაწყობდა გამოკვლევებს ბუნებრივი კომპლექსების გამოყენების დარგში, შეისწავლიდა ერთი რესურსების ექსპლოატაციის გავლენას სხვა რესურსებზე, შეიმუშავებდა გარემოს დარღვევის თავიდან აცილების რეკომენდაციებს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციული საკითხია დაგეგმვა. კომისიას საჭიროდ მიაჩნია, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმებში ბუნების დაცვის შესახებ გამოიყოს დამოუკიდებელი კარი, რომელიც გაითვალისწინებს სახალხო მეურნეობის დარგების, სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მთელ კომპლექსს.

ახლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები ამთავრებენ ტყეებისა და წიაღისეულთა კანონპროექტებზე მუშაობას. ამ კანონპროექტების მიღებით მოწესრიგდება წიაღისა და ტყეების გამოყენება-დაცვის საკითხები. კომისიათა აზრით, უნდა გაგრძელდეს საბჭოთა ბუნების დაცვის კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობა, რადგან უკვე დღის წესრიგში დგება ატმოსფერული ჰაერისა და ცხოველთა სამყაროს დაცვის კანონპროექტების შემუშავების საკითხი.

სრული რწმენით შეიძლება ითქვას, განაცხადა დასასრულ ა. ვ. გეორგიევმა, რომ ამ სესიაზე საკითხების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასა და ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურ გამოყენებასთან, და გადაწყვეტილებანი, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მიიღებს, საშუალებას მოგვცემენ კიდევ უფრო წარმატებით გადავწყვიტოთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ ამ დარგში დასახული ამოცანები.

თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო. სიტყვა ეძლევა დეპუტატ ვ. მ. ციბულკოს — უკრაინის კომპარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს. კიევის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები განსაკუთრებით ზრუნავენ მიწის რესურსებისათვის, თქვა მან. მიწა ხომ, როგორც სამართლიანად ამბობს ხალხი, ჩვენი მარჩენალია. დღეს ოლქის მთელი მიწების 75 პროცენტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სარგებლობაშია, და მაინც უკანასკნელი 6 წლის მანძილზე, თუმცა ჭაობები ამოვაშრეთ და რაციონალურად ვიყენებთ წინა დამუშავებისათვის უვარგის მიწას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საერთო რაოდენობა შემცირდა სამრეწველო და საბინაო მშენებლობის მძაფრ განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნა ორატორმა, შევიმუშავეთ მთელი რიგი ღონისძიებანი მიწების კიდევ უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი ფართობების ჩაბმისათვის.

ვ. მ. ციბულკომ მოიყვანა რესპუბლიკის დედაქალაქ კიევში მიწების ყაირათიანად გამოყენების მაგალითი. ახლა დნეპრის ნაპირზე აშენდა თვალწარმტაცი მიკრორაიონი რუსანოვკა. წინათ აქ რიყე იყო, რომელიც ხშირად წყლით იფარებოდა დნეპრის ადიდების დროს. მშენებლებმა ამ ადგილზე ააგეს თითქმის 400 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის თანამედროვე მრავალსართულიანი სახლები. დაიზოგა 100 ჰექტარი ნაყოფიერი მიწა. რუსანოველთა გამოცდილებას წარმატებით იყენებენ: დანალექ ქვიშრობებზე აგებენ საცხოვრებელ მასივებს — ბერეზნიაკსა და ობოლონს.

მიწის რაციონალური გამოყენებისათვის იბრძვიან სოფლის მშრომელები.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ

ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაშლის, საბჭოთა ხალხის მრავალმხრივი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების ზრდის პირობებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანა ხდება, რომლის გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულება, ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობა. სოციალისტურ საზოგადოებაში ამ ამოცანის გადაწყვეტა განუყრელად არის დაკავშირებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან, საბჭოთა ადამიანებისათვის ნაყოფიერი შრომისა და დასვენების საჭირო პირობების უზრუნველყოფასთან.

საბჭოთა კავშირში ბუნებრივი სიმდიდრეების ყველაზე სწორი გამოყენების, ბუნების ეფექტიანი დაცვის ორგანიზაციის ურყევ საფუძველს წარმოადგენს მიწის, მისი წიაღის, წყლის, ტყის სოციალისტური სახელმწიფო საკუთრება. სწორედ ამ პირობებში უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის გეგმიანი გაძღოლა, მისი განვითარების სწრაფი ტემპი.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, დაცვა და კვლავწარმოება, სათუთი დამოკიდებულება ბუნებისადმი სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის შემადგენელი ნაწილია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავენ ბუნების დაცვისა და მის სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენებისათვის.

სკკპ XXIV ყრილობამ დასახა ჩვენში ბუნების დაცვის გაძლიერების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლების დიდი ამოცანები. ეს აისახა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიან გეგმაში. ჩვენი სამშობლოს ბუნების დაცვის გაუმჯობესებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური გამოყენების ამოცანათა გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბოლო წლებში მიღებულ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლებს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამის კანონებსა და კოდექსებს.

ახორციელებს რა დასახულ ღონისძიებებს გარემოს დაცვის დარგში, საბჭოთა კავშირი დღითიდღე აფართოებს თანამშრომლობას ამ საქმეში საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უზრუნველყოფს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში თანამიმდევრულად ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბუნების დაცვის გაუმჯობესება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა.

დიდი მასშტაბით წარმოებს მიწების მელიორაციის, ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის თავიდან აცილების სამუშაოები, უმჯობესდება წყლის რესურსების, ტყის სიმდიდრეთა და სასარგებლო წიაღისეულთა გამოყენება. სახელმწიფო იცავს ძვირფასი და იშვიათი სახეობის ცხოველებს, უმჯობესდება თევზის მეურნეობის გაძღოლა. სერიოზული ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერისა და წყალსატევების გაჭუჭყიანების აღკვეთას, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების თბოფიკაციისა და გაზიფიკაციის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებებს, აგრეთვე ბრძოლას ხმაურთან. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ჩამდინარე წყლების საწმენდი, გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების მშენებლობისათვის.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება და წარმოებაში სულ უფრო ფართო მასშტაბით ბუნებრივი რესურსების გამოყენება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან მოითხოვს გააძლიერონ ყურადღება ბუნების დაცვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, ამ დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საქმისადმი.

ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, საწარმოები და ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმარისად არ ითვალისწინებენ ამ მოთხოვნებს, ჯეროვნად არ სწავლობენ და არ წყვეტენ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ბუნების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს. სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები ხშირად როდი იცავენ კანონმდებლობას მიწის წიაღის კომპლექსური გამოყენების შესახებ, ურიგდებიან სასარგებლო წიაღისეულთა დიდ დანაკარგებს მათი მოპოვებისა და გადამუშავების დროს. ზოგჯერ მადნიდან იღებენ მხოლოდ ძირითად ლითონებს, ძვირფასი თანამგზავრი კომპონენტების მნიშვნელოვან ნაწილს ყრიან, რის გამოც სერიოზული ზარალი მოსდის სახელმწიფოს.

მრეწველობაში ნელა მუშავდება და ინერგება ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებენ საწარმოო საჭიროებისათვის წყლის ხარჯვასა და მავნე ნარჩენებს, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ გარემოს მდგომარეობაზე. ბევრ საწარმოსა და მთელ რიგ ქალაქებში არ არის ჩამდინარე წყლების საწმენდი საჭირო ნაგებობანი, ნელა შენდება ისინი, ამ მიზნით გამოყოფილ სახსრებს კი მთლიანად არ იყენებენ. უზრუნველყოფილი არ არის აგრეთვე ატმოსფეროში სამრეწველო ამონაფრქვევების ჯეროვანი გაწმენდა, საკმაოდ არ მზადდება გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობები და დანადგარები.

ქალაქთმშენებლობის პრობლემების გადაწყვეტისა და სოფლის განაშენიანების დროს ყოველთვის როდი ეთმობა სათანადო ყურადღება მოსახლეობის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების ოპტიმალური პირობების შექმნას.

არის ქვეყნის ძირითადი სიმდიდრისადმი მიწისადმი უყაირათო დამოკიდებულების შემთხვევები, სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების არარაციონალური გამოყენების, წყალსაცავების არასწორი ექსპლოატაციის ფაქტები. ნიადაგის ეროზიის, განმეორებითი დამლაშების შედეგად, აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვების დროს და მშენებლობის პროცესში სამეურნეო ბრუნვას ხშირად აკლდება ნაყოფიერი მიწების დიდი ნაკვეთები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც ეკისრებათ სახელმწიფო ზედამხედველობა და კონტროლი ბუნების დაცვის კანონმდებლობის შესრულებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისადმი, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ამ დარგში მათ წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ მიწების, სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების და წყლების რაციონალური გამოყენებისათვის, ჯეროვან კონტროლს არ უწევენ ნიადაგების ნაყოფიერების გადიდებას, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას.

ჯეროვნად არ ასრულებენ თავიანთ ამოცანებს სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებიც, რომლებიც უნდა სწავლობდნენ და წყვეტდნენ ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და გარემოს დაცვის მომწიფებულ პრობლემებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და ჩვენი ინდუსტრიის მძლავრი ბაზა საშუალებას იძლევიან სოციალისტური მეურნეობრიობის პირობებში გონივრულად ვიყენებდეთ მთელ ბუნებრივ სიმდიდრეებს, წარმატებით ვწყვეტდეთ ისტორიულად დიდმნიშვნელოვან ამოცანას — გავანეიტრალოთ ბუნებისა და ადამიანისათვის მავნე თანამდევი მოვლენები სამეურნეო საქმიანობისა.

ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენება, ისეთი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, რომლებიც გამორიცხავენ მავნე ნარჩენებს, წყალსატევების გაწმენდის ბიოლოგიური საშუალებების უფრო ფართოდ გამოყენება და სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლას, ტყის ნარგავებსა და სამელიორაციო სამუშაოები — ამ და სხვა ღონისძიებებს შეუძლიათ უზრუნველყონ გარემოს ეფექტიანი დაცვა. ამიტომ მთლიანად საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა და მეურნეობის ცალ-ცალკე დარგების განვითარების შემდგომი პროგრამა უნდა ხორციელდებოდეს ღრმა კომპლექსური კვლევის საფუძველზე, ამასთან თან უნდა ახლდეს შესაძლო შედეგების მეცნიერული პროგნოზები და იმ ღონისძიებათა სავალდებულო სისტემა, რომლებიც გამორიცხავენ მავნე ზემოქმედებას გარემოზე. ჩვენი მოვალეობაა დავიცვათ და ვამრავლოთ თაობებისათვის, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებაში იცხოვრებენ, ბუნების მთელი სიმდიდრე და სილამაზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანად ჩაითვალოს დაუცხრომელი ზრუნვა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენებისათვის, მიწისა და მისი წიაღის, ტყეებისა და წყლების, ცხოველთა და მცენარეულთა სამყაროს, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, კანონმდებლობის განუხრელად შესრულება, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შეხამებული უნდა იყოს ბუნებისა და მისი რესურსებისადმი სათუთ დამოკიდებულებასთან, ხელს უწყობდეს მშრომელთა ცხოვრებისა და ჯანმრთელობის, მუშაობისა და დასვენების უფრო ხელშემწყობი პირობების შექმნას.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს ბუნების დაცვის შემდგომი გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებანი იმ წინადადებების გათვალისწინებით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა გამოთქვეს სესიაზე, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ბუნების დაცვის კომისიებისა და სხვა მუდმივი კომისიების წინადადებანი.

ამ ღონისძიებებში გაითვალისწინონ, რომ:

სრულყონ დაგეგმვა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ბუნების დაცვას, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ დასახული ბუნების დაცვის ღონისძიებანი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების შემადგენელი ნაწილი;

აამაღლონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სასარგებლო წიაღისეულთა და მინერალური ნედლეულის სრული, კომპლექსური გამოყენებისათვის მათი მოპოვებისა და გადამუშავების დროს, განუხრელად დაიცვან კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს ნამდვილ ყაირათიან დამოკიდებულებას მიწისა და ტყის სავარგულებისადმი, წყლის რესურსებისადმი, მათი დაცვისადმი, მოქალაქეთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებას ბუნებრივი გარემოს დაცვისათვის.

გააძლიერონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სამრეწველო ნარჩენებითა და შხამქიმიკატებით ნიადაგების, სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებით წყაროების, სამრეწველო ამონაფრქვევებითა და ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი გაზებით ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების უთუოდ შესრულებისათვის;

განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ატმოსფეროში მავნე ამონაფრქვევებისა და გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლების გადაგდების თავიდან აცილებისათვის, საწმენდი ნაგებობების დროული მშენებლობისათვის, მისი ხარისხის ამაღლებისათვის, გაზსაწმენდი და მტვერსაჭერი ახალი სახეობის მოწყობილობისა და ხელსაწყოების შემუშავებისა და წარმოების ათვისებისათვის, წყალსატევების ბიოლოგიური გაწმენდის უზრუნველყოფისათვის, წარმოების ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნისა და არსებულთა სრულყოფისათვის, წყლის მომჭირნეობით ხარჯვისათვის;

გაადიდონ მანქანების, მოწყობილობის, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების გამოშვება, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ გავაუმჯობესოთ ბუნების დაცვის საქმე, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ მისი რესურსები, მთელი მისი სიმდიდრეები;

შეიმუშაონ ქალაქთმშენებლობის ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს მაქსიმალურ გაჯანსაღებას სამრეწველო და ადმინისტრაციულ ცენტრებში;

გააფართოონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ბუნების დაცვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პრობლემებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის;

გააუმჯობესონ სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა მომზადება ბუნებისმცოდნეობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგში, უფრო ფართო მასშტაბით მოამზადონ და გამოუშვან ამ პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ უნარიანად, ყაირათიანად გამოიყენონ უდიდესი ბუნებრივი რესურსები;

გათვალისწინებულ იქნას სსრ კავშირის აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგსა და არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან მის დაცვაში.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა უზრუნველყონ მკაცრი ზედამხედველობა და კონტროლი ბუნებრივი რესურსების სწორ გამოყენებასა და ბუნების დაცვისადმი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა გააძლიერონ კონტროლი იმ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, რომლებიც მიზნად ისახავენ სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების, აგრეთვე წყლების რაციონალურ გამოყენებას, ცხოველთა და მცენარეულთა სამყაროს დაცვას, ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ბრძოლას საწარმოო და საყოფაცხოვრებო ხმაურთან.

4. კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივმა კომისიებმა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წიაღთა კანონმდებლობის საფუძვლების პროექტთა შემუშავების დამთავრების დროს გაითვალისწინონ სესიაზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.
მოსკოვი, კრემლი. 1972 წლის 20 სექტემბერი.

გამოფენაზე „სოფლტექნიკა-72“

მოსკოვის „სოკოლნიკის“ პარკში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საერთაშორისო გამოფენა „სოფლტექნიკა-72“. მსოფლიოს ოცზე მეტი ქვეყნის ასობით ფირმა საწარმო და ორგანიზაცია გამოფენაზე აჩვენებს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მოწყობილობასა და ხელსაწყოებს. ტექნიკის ამ უდიდესი დათვალიერების ექსპოზიციას 200 ათასზე მეტი კაცი გაეცნო.

19 სექტემბერს გამოფენაზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი. მათ ახლდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. ვ. მაცკევიჩი, სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ა. ბორისოვი.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღებით დაათვალიერეს საბჭოთა კავშირის ექსპოზიცია, რომელიც შთამბეჭდავად ასახავს, თუ როგორ გახდა მოკლე ისტორიულ ვადაში საბჭოთა სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა სახალხო მეურნეობის დიდად განვითარებული დარგი. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დაახლოებით 300 სამრეწველო საწარმომ გამოფენაზე წარმოადგინა მაღალი წარმადობის თანამედროვე მანქანების ათასზე მეტი ნიმუში.

საბჭოთა ხელმძღვანელები გაეცნენ ტრაქტორების, მარცვლის ასაღები კომბაინების ახალ მოდელებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასამუშავებელ ბევრ მანქანას.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის განყოფილებანი. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ექსპოზიცია თვალნათლივ გვიჩვენებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებული სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის უპირატესობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში. ისინი გაეცნენ აგრეთვე ავსტრიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, იტალიის, კანადის საფრანგეთის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების ექსპოზიციებს.

ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი ი. ფ. სინიცინი, სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ა. ა. ეჟევსკი და „სოფლტექნიკა-72“ გამოფენის გენერალური დირექტორი რ. მ. ზორინი. (საკდესი).

სამშობლოს ჯილდო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი** დააჯილდოვა **ლენინის** ორდენით.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიული მუშაკები ყაზახეთში

ალმა-ატა, 20 სექტემბერი. (საკდესი). აქ ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ჟაგვარალი. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით, რათა გაეცნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუშაობის გამოცდილებას სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგში.

დელეგაცია მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა. გაიმართა მეგობრული საუბარი.

მიფრინავს „კოსმოს-520“

1972 წლის 19 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-520“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურების, დანგრევისა და დაზიანებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 254.** კულტურის ძეგლების ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება —

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების შებილწვა ან თვითნებური გამოყენება —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე, ან საზოგადოებრივი გაკიცხვით.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება, თუ იგი ჩადენილია ფეთქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გაუფრთხილებელი გამოყენებით, აგრეთვე ამ ძეგლებისა და ობიექტების გაუფრთხილებლობით განადგურება, დანგრევა, ან დაზიანება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

კულტურის ძეგლების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განზრახ განადგურება, დანგრევა ან დაზიანება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების თუ ობიექტების მიმართ, აგრეთვე ჩადენილი ფეთქებადი ნივთიერების ან მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.
თბილისი, 1972 წლის 14 სექტემბერი.

პროექტი კანონისა „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“

კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ვ. კაპიტონოვის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებსა და სამანდატო კომისიებს თქვენს განსახილველად შემოაქვთ პროექტი კანონისა „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“. როგორც თქვენ იცით, ასეთი კანონის შემუშავების საჭიროებაზე მიგვითითა სკკპ XXIV ყრილობამ.

ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ახლა განსაზღვრავენ პარტიის, მთელი ხალხის მთელ საქმიანობას. ისინი თანამიმდევრულად ხორციელდება. განვლილ წელიწადნახევარში გადაიდგა ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეკონომიკის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების გზაზე. წარმატებით ხორციელდება ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის პროგრამა, სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური პოზიციები. იზრდება სოციალიზმის ძალების გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე.

ბრძოლა კომუნიზმის აშენებისათვის განუყოფელია სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარებისაგან, საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისაგან, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფისაგან.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც ყველაზე სრულად გამოხატავენ მის დემოკრატიულ ხასიათს. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, საბჭოები არის მშრომელთა უშუალო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მართვაში მათ უაღრესად ფართო მონაწილეობას.

ახლა საბჭოებში არჩეულია ორ მილიონზე მეტი დეპუტატი, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, მშრომელ ინტელიგენციას, მოსახლეობის ყველა სოციალურ ჯგუფსა და ფენას, სსრ კავშირის ყველა ერსა და ეროვნებას. დეპუტატთა ნახევარზე მეტს მუშები და კოლმეურნეები შეადგენენ. ხალხმა საბჭოებში გაგზავნა ბევრი მეცნიერი, ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე, სამხედრო მოსამსახურე. დაახლოებით მილიონი დეპუტატი ქალია. ყველა დეპუტატის მეოთხედზე მეტი ახალგაზრდობაა. ამრიგად, დეპუტატთა შემადგენლობა ასახავს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, მის ურღვევ ერთიანობას, მონოლითურ შეკავშირებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობასა და ძმობას.

კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს საბჭოების როლის ამაღლების გეზს. ეს მკაფიოდ არის ნათქვამი XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში. აღნიშნა რა, რომ პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად საბჭოების საქმიანობა უფრო აქტიური და მრავალმხრივი გახდა, გაძლიერდა მათი კონტროლი საქმეთა მდგომარეობისადმი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძირითად უბნებზე, ყრილობამ ხაზი გაუსვა, რომ მათ უფრო სრულად უნდა შეასრულონ თავიანთი ფუნქციები, განსაზღვრა მათი მუშაობის შემდგომი სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი. ყრილობაზე ითქვა, რომ უფრო უნდა ავამაღლოთ დეპუტატების როლი.

„მომწიფდა იმის საჭიროება, — თქვა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, — რომ შევიმუშაოთ სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს დეპუტატების სტატუსს — უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიდან სადაბო საბჭოების დეპუტატებამდე, მათს რწმუნებებსა და უფლებებს, აგრეთვე თანამდებობის პირთა ვალდებულებებს დეპუტატთა მიმართ. მიგვაჩნია, რომ ასეთი კანონის მიღება გაადიდებს დეპუტატთა ავტორიტეტსა და აქტივობასაც“. ეს წინადადება მოიწონა ყრილობამ და ჩაწერა თავის რეზოლუციაში. მას მხარი დაუჭირეს პარტიამ და ხალხმა.

ყრილობის დებულების შესაბამისად მომზადდა კიდეც თქვენს განსახილველად წარმოდგენილი პროექტი კანონისა დეპუტატთა სტატუსის შესახებ.

კანონის პროექტის შემუშავების დროს კომისიები ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა წარმომადგენლობითი სისტემის ძირითადი პრინციპებით, რომლებშიც განსახიერებულია ლენინის იდეები სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ სოციალიზმის დროს და რომლებიც განმტკიცებულია ჩვენს კონსტიტუციაში. კანონპროექტში გათვალისწინებულია მოქმედი საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობა. ამასთანავე იგი შეიცავს მთელ რიგ ახალ დებულებებს, რომლებიც აფართოებენ დეპუტატთა უფლებამოსილებას იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც დასახულია საბჭოების წინაშე თანამედროვე პირობებში.

პროექტი კანონისა დეპუტატთა სტატუსის შესახებ მომზადდა როგორც საერთო-საკავშირო საკანონმდებლო აქტი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ყველა საბჭოს — სასოფლო და სადაბო საბჭოებიდან მოყოლებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთი დამთავრებული — დეპუტატთა საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი საკითხები. საკითხის გადაწყვეტისადმი ასეთი მიდგომა გამომდინარეობს ჩვენი სახელმწიფო წყობილების არსიდან, იქიდან, რომ ყველა რგოლის საბჭოების საქმიანობის ფორმირებისა და ორგანიზაციის, აგრეთვე დეპუტატთა მუშაობის პრინციპები საერთოა. პრინციპულად ერთნაირი საფუძველი უდევს ჩვენში ყველა რგოლის საბჭოების დეპუტატთა ურთიერთობასაც საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამდებობის პირებთან.

უნდა ითქვას, რომ დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მომზადებას, რომელშიც პირველად ჩვენს საკანონმდებლო პრაქტიკაში შეჯამებულია ძირითადი დებულებანი ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა საქმიანობისა და უფლებამოსილების შესახებ, დიდი წინასწარი მუშაობა დასჭირდა. ამ მუშაობაში მონაწილეობდნენ ბევრი დეპუტატი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები.

დეპუტატთა სტატუსთან დაკავშირებული საკითხები განხილული იყო პრესაში. კანონმდებლობის გამო მოვიდა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, ცენტრალური და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, სამეცნიერო დაწესებულებების წინადადებები და შენიშვნები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გათვალისწინებულია პროექტზე მუშაობის მსვლელობაში, რამაც საშუალება მოგვცა უფრო სრულად აგვესახა მასში პრაქტიკის მოთხოვნილებანი, დეპუტატთა საქმიანობის მომწიფებული საკითხები.

კომისიების მიერ შემუშავებული კანონპროექტი განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა.

ამხანაგო დეპუტატებო!

კანონის პროექტი თქვენ დაგირიგდათ, და შესაძლებლობა გქონდათ გასცნობოდით მას. ამიტომ ნება მიბოძეთ შევეხო მხოლოდ ზოგიერთ მის ძირითად დებულებას.

პროექტი შედგება შესავალი ნაწილისა და ოთხი კარისაგან. შესავალი ნაწილი აშუქებს დეპუტატის როლს, ახასიათებს მისი საქმიანობის პოლიტიკურ აზრსა და მთავარ დანიშნულებას.

ჩვენს საზოგადოებაში დეპუტატის მდგომარეობა უწინარეს ყოვლისა იმით განისაზღვრება, რომ ხალხმა მას რწმუნებანი მისცა მონაწილეობა მიიღოს საბჭოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში, გამოხატოს მისი ნება და ინტერესები. საბჭოებისა და მათი დეპუტატების მთელი საქმიანობის ურყევი საფუძველია კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, ბრძოლა მისი განუხრელი განხორციელებისათვის.

ახლა პარტიის საქმე მთელი ხალხის საერთო საქმე გახდა, კომუნიზმის მშენებლობა კი — მისი უმაღლესი მიზანი. დეპუტატები მთელ ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარენ ამ დიად საქმეს. მათ დაიმსახურეს პატივისცემა ხალხისათვის, სოციალისტური სამშობლოსათვის უანგარო სამსახურით, იმით, რომ მუდამ თანმიმდევრულად იცავენ მშრომელთა ძირეულ ინტერესებს.

კანონის პროექტში აისახა ეს პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ დეპუტატთა საქმიანობის შინაარსს და მტკიცედ დამკვიდრდნენ საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაში.

პროექტის პირველ კარში მოცემულია ზოგადი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ დეპუტატის სტატუსს, მისი უფლებამოსილების ვადებს, ამ დარგში საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის თანაფარდობას.

საბჭოების როგორც სახალხო წარმომადგენლობის ორგანოების უმნიშვნელოვანესი თავისებურება ის არის, რომ მათში ორგანულად არის შეხამებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნიშანთვისებები. ეს განსაზღვრავს დეპუტატთა საქმიანობის ხასიათსაც, რომლებიც, როგორც ეს კანონპროექტშია ნათქვამი, თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ უსასყიდლოდ, კავშირს არ წყვეტენ საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობასთან.

ვ. ი. ლენინი, უარყოფდა რა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის კონცეფციებს, აღნიშნავდა, რომ დეპუტატებმა „თვითონ უნდა იმუშაონ, თვითონ უნდა შეასრულონ თავიანთი კანონები, თვითონ უნდა შეამოწმონ ის, თუ რა გამოდის ნამდვილად, თვითონ უშუალოდ უნდა აგონ პასუხი თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე“ (თხზ., კრ. ტ. 25, გვ. 523).

ლენინის ამ იდეამ ხორცი შეისხა კანონპროექტშიც. როგორც ხაზგასმულია მე-2 მუხლში, საბჭოების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას საფუძვლად უდევს თვითეული დეპუტატის აქტიური მონაწილეობა საბჭოს მთელ მუშაობაში. დეპუტატები წყვეტენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, აწყობენ საბჭოების გადაწყვეტილებების განხორციელებას, მონაწილეობენ სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი კონტროლში, აგრეთვე საბჭოების სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

საბჭო სახელმწიფო ხელისუფლების კოლექტიური ორგანოა, რომელიც შედგება ხალხის არჩეული, სრულუფლებიანი წარმომადგენლებისაგან, და მისი მუშაობის წარმატება დამოკიდებულია თვითეულ დეპუტატზე. დეპუტატის მუშაობას საბჭოში ეძღვნება პროექტის მეორე კარი. მასში განსაზღვრულია საბჭოში დეპუტატთა საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებამოსილება, აგრეთვე საბჭოსა და მისი ორგანოების მოვალეობანი და უფლებანი დეპუტატთა მიმართ.

როგორც ცნობილია, მთავარი საკითხები, რომლებიც საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება, წყდება სესიებზე. პარტიის დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ საბჭოების როლის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის მათი სასესიო მუშაობის შემდგომი სრულყოფა. ეს ხაზი გატარებულია კანონმდებლობაშიც, ამ ბოლო წლების პრაქტიკაშიც.

საბჭოების სესიები იმართება კანონით დადგენილ ვადებში. გაფართოებულია იმ საკითხთა წრე, რომლებსაც ამ სესიებზე იხილავენ. სესიებზე შემოაქვთ საბჭოების საქმიანობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კაპიტალური მშენებლობის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის განვითარების, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ძირეული საკითხები. ეს საბჭოებს საშუალებას აძლევს უფრო სრულად განახორციელონ სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქციები.

დეპუტატი, როცა სესიის მომზადებასა და მუშაობაში მონაწილეობს, ამით ხელს უწყობს საბჭოს მიერ პარტიისა და სახელმწიფოს დირექტივების, სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების, მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას. ამასთანავე იგი გადის სახელმწიფოს მართვის სკოლას. ამიტომ დეპუტატის აქტიური მონაწილეობა სესიებში, როგორც კანონპროექტშია აღნიშნული, ერთ-ერთი მისი ძირითადი მოვალეობაა.

გამოცდილება მოწმობს, რომ სესიების ეფექტიანობა მაღლდება, თუ დეპუტატებს საკმაო დრო აქვთ, რომ მოიფიქრონ საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს, გაეცნონ საქმის მდგომარეობას ადგილებზე, გამოარკვიონ ამომრჩეველთა აზრი. ეს შესაძლებლობას აძლევთ მათ სესიაზე განიხილონ საკითხები უფრო საფუძვლიანად, საქმისა და ცხოვრების ცოდნით. ამასთან დაკავშირებით საბჭოების შესაბამის ორგანოებს ევალებათ დროულად აცნობონ დეპუტატს სესიის მოწვევის დრო და მისი მოწყობის ადგილი, საკითხები, რომლებიც საბჭოს განსახილველად არის შეტანილი, და მისცეს საჭირო მასალები მათ შესახებ.

დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატთა მუშაობას მუდმივ კომისიებში. კომისიებზე დაყრდნობით საბჭოები წყვეტენ ბევრ საკითხს, აწყობენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. ახლა საბჭოებში შეიქმნა სულ სამასი ათასზე მეტი მუდმივი კომისია, რომელთა შემადგენლობაში შედის მილიონ 700 ათასზე მეტი დეპუტატი. ეს დიდი ძალაა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მართვის აპარატის საქმიანობის სრულყოფაზე, სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების შესრულებაზე.

ამხანაგო დეპუტატებო!

თანამედროვე პირობებში, როგორც ცნობილია, იზრდება ყველა საფეხურის საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა პარტიისა და სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის განხორციელებისათვის, ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს დეპუტატთა ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას იმ პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად მშრომელთა დარაზმვისათვის, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებასთან.

ცხოვრება იძლევა იმის ბევრ მაგალითს, თუ რა შემოქმედებითად, თავდადებით მუშაობენ დეპუტატები კომუნიზმისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის ყველა უბანზე.

ყველგან საწარმოებსა და მშენებლობებზე დეპუტატები აქტიურ მუშაობას ეწევიან საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესებისათვის, აღწევენ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ყაზახეთში, ციმბირსა და ქვეყნის სხვა რაიონებში ათასობით დეპუტატი დღეს მიმდინარე წლის ამინდის რთულ პირობებში მოსავლისათვის ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება. დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ჩვენი დედაქალაქის დეპუტატები იმისათვის, რომ მოსკოვი გადააქციონ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად.

კანონის მიღება პირობებს შექმნის იმისათვის, რომ კიდევ უფრო შემოქმედებითად იმუშაონ დეპუტატებმა. პროექტში ხაზგასმულია, რომ დეპუტატი აქტიურად მონაწილეობს საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საბჭოების გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ განხორციელებაში.

კანონპროექტი განსაზღვრავს დეპუტატის ძირითად უფლებებს საბჭოში. მასში ნათქვამია, რომ დეპუტატი სარგებლობს გადამწყვეტი ხმით სესიაზე განსახილველ ყველა საკითხში, უფლება აქვს აირჩიოს და იყოს არჩეული საბჭოს ორგანოებში. დეპუტატს უფლება აქვს შეიტანოს წინადადებანი განსახილველ საკითხთა არსის გამო, საბჭოს მიერ შექმნილი ორგანოების პერსონალური შემადგენლობის გამო, დაასაბუთოს თავისი წინადადებანი.

როგორც ცნობილია, დეპუტატთა მუშაობის წარმატება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ყურადღებით იხილავენ და როგორ ასრულებენ მათ შენიშვნებსა და წინადადებებს. უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით საბჭოებმა, მათმა აღმასკომებმა კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ.

კანონის პროექტში განსაზღვრულია სესიაზე დეპუტატების მიერ წამოყენებული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის წესი. ამასთან აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირნი ვალდებული არიან დეპუტატთა შენიშვნები და წინადადებანი განიხილონ დადგენილ ვადებში, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი და შედეგები აცნობონ დეპუტატს და საბჭოების შესაბამის ორგანოებს. ამ დებულებათა განხორციელება ხელს შეუწყობს დეპუტატთა ინიციატივის უფრო მეტ განვითარებას.

ამ ბოლო დროს გაფართოვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საკანონმდებლო საქმიანობა. მიღებულია ახალი კანონები მიწისა და წყლის გამოყენებისა და დაცვის შესახებ, შრომის, ჯანმრთელობის დაცვის, ქორწინებისა და ოჯახის შესახებ და მთელ რიგ სხვა საარსებოდ, დიდმნიშვნელოვან საკითხებზე. ეს კანონები ასახავენ საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების თანამედროვე დონეს ჩვენს ქვეყანაში, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილებებს.

სესიის დარბაზიდან

მოსკოვი. სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

სურათზე: დეპუტატები საქართველოს რესპუბლიკიდან სხდომათა დარბაზში.

კანონების მომზადებაში დეპუტატთა როლის ამაღლებას უთუოდ ხელს შეუწყობს პროექტში მუხლის შეტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების შესახებ.

საბჭოები მეტ ყურადღებას უთმობენ კონტროლს საქმის ვითარებისადმი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ძირითად უბნებზე, მართვის აპარატის მუშაობისადმი. უმაღლესი საბჭოების სესიებზე იხილავენ მინისტრთა საბჭოების მოხსენებებს, სამინისტროებისა და უწყებების ანგარიშებს. ადგილობრივი საბჭოები რეგულარულად ისმენენ აღმასკომების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების ანგარიშებს.

კანონპროექტი ითვალისწინებს დეპუტატის იმ უფლებას, რომ საბჭოს დავალებით შეამოწმოს სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობა იმ საკითხებზე, რომლებიც საბჭოს გამგებლობაშია. ამასთან, დეპუტატს უფლება აქვს თვითონ აღძრას საბჭოში და მის ორგანოებში საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის შემოწმების საკითხი. ასეთ შემოწმებებში დეპუტატთა მონაწილეობა შესაძლებელს ხდის კიდევ უფრო გაძლიერდეს კონტროლი იმისადმი, თუ როგორ სრულდება ადგილებზე პარტიისა და მთავრობის დირექტივები ამა თუ იმ საკითხზე.

მართვის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მუშაობისადმი საბჭოს კონტროლის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა დეპუტატის შეკითხვა, ეს ფორმა სულ უფრო მეტად ინერგება ყოველდღიურ პრაქტიკაში. საკმარისია ითქვას, რომ შარშან დეპუტატთა საბჭოების სესიებზე დეპუტატებმა შეიტანეს 40 ათასამდე შეკითხვა.

კონსტიტუციური ნორმებისა და შექმნილი პრაქტიკის საფუძველზე, კანონის პროექტის 14-ე მუხლში გათვალისწინებულია სსრ კავშირის, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლება შეკითხვით მიმართოს შესაბამისად სსრ კავშირის მთავრობას, მოკავშირე, ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობას ან მინისტრებს და მართვის სხვა ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებსაც უმაღლესი საბჭოები ქმნიან.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მიენიჭოთ უფლება, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საერთო-საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მიმართონ შეკითხვით იმ საკითხებზე, რომლებიც რესპუბლიკის გამგებლობაშია.

რაც შეეხება ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს, მათ უფლება აქვთ შეკითხვებით მიმართონ აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს საბჭოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

ამრიგად, დეპუტატთა უფლებები ამ მიმართულებით არსებითად ფართოვდება, რაც მათ საშუალებას მისცემს უფრო აქტიური გავლენა მოახდინონ მომწიფებული საკითხების გადაჭრაზე, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე.

საბჭოებსა და მათ დეპუტატებს მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში. ამას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კანონის პროექტში. როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი დეპუტატი ყოველთვის უნდა იდგეს საბჭოთა კანონების სადარაჯოზე. იმ შემთხვევაში, თუ დაირღვა მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები ან საზოგადოებრივი წესრიგი, დეპუტატს უფლება აქვს მოითხოვოს ამ დარღვევების შეწყვეტა.

თანამდებობის პირნი, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაცია, მილიციის მუშაკები, რომლებისადმი მიმართულია დეპუტატის მოთხოვნა, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი დარღვევის აღმოფხვრისათვის და საჭირო შემთხვევებში — დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოების საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი ნიშან-თვისება, მათი მიერ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია განუყრელი კავშირი მასებთან, მასებზე მუდმივი დაყრდნობა. ზრუნვა იმისათვის, რომ ეს ურთიერთობა მასებთან იყოს სულ უფრო მტკიცე, უფრო ფართო, უფრო მრავალფეროვანი, თვითეული დეპუტატის მოვალეობაა. და რასაც უნდა აკეთებდეს დეპუტატი — საბჭოს სესიაზე გამოდის იგი თუ საკითხებს იხილავს მუდმივ კომისიაში, იღებს მოქალაქეებს თუ არჩევს მათ განცხადებებს, მონაწილეობს საწარმოსა თუ დაწესებულების მუშაობის შემოწმებაში, — იგი ყოველთვის უნდა მოქმედებდეს ხალხის ინტერესებისათვის, სწორად გამოხატავდეს მის ნებას.

ხელმძღვანელობს რა უწინარეს ყოვლისა საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით, დეპუტატმა უნდა გაითვალისწინოს საარჩევნო ოლქის მოსახლეობის მოთხოვნილებანი, აგრეთვე რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ეროვნული ოკრუგის, ეკონომიური, კულტურული, ეროვნული და სხვა თავისებურებანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატთა მუშაობას ამომრჩეველთა განაწესის შესრულებისათვის. განაწესებში ვლინდება ადამიანების მაღალი პოლიტიკური შეგნებულება, მათი დაინტერესება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეებით, მომწიფებული სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადაჭრით. ამომრჩეველთა კრებებზე განხილული და მოწონებული განაწესები საზოგადოებრივ მნიშვნელობას იძენენ.

საბჭოებმა მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინეს ამომრჩეველთა განაწესების შესრულების საქმეში. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მიმდინარე მოწვევის საბჭოებმა შესასრულებლად მიიღეს ნახევარ მილიონზე მეტი განაწესი. ასეთი დამოკიდებულება განაწესებისადმი, რომლებიც ამომრჩეველთა ნებას გამოხატავენ, შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური სახელმწიფო წყობილების დროს. და ეს კონკრეტულად გამოიხატება კანონის პროექტში. მასში ნათქვამია, რომ განაწესებს იხილავს საბჭო, ითვალისწინებს სახალხო სამეურნეო გეგმების შემუშავებისა და ბიუჯეტის შედგენის დროს, რომ დეპუტატები აღწევენ ამომრჩეველთა განაწესების განხორციელებას, მოსახლეობას რაზმავენ მათი შესრულებისათვის.

მასებთან საბჭოების კავშირის განმტკიცება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მუშაობას ასრულებენ დეპუტატები უშუალოდ მშრომელთა შორის. მათი საქმიანობის ამ მხარეს ეძღვნება კანონპროექტის მესამე კარი, რომელიც აწესრიგებს დეპუტატის მუშაობის სხვადასხვა საკითხს საარჩევნო ოლქში. პროექტში ხაზგასმულია, რომ დეპუტატებისა და ამომრჩევლების ყოველდღიური, ცოცხალი კავშირი აუცილებელი პირობაა თვითეული საბჭოს ეფექტიანი საქმიანობისათვის.

დეპუტატის პრაქტიკა ამ ბოლო ხანს გამდიდრდა, როგორც შრომით კოლექტივებში ისე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მასობრივი მუშაობის ბევრი ახალი ფორმით. პროექტში აღნიშნულია, რომ მუშაობას ამომრჩეველთა შორის დეპუტატი აწარმოებს საბჭოს აქტივის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების დახმარებითა და მხარდაჭერით.

როგორც ცნობილია დეპუტატის საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს მოქალაქეთა მიღებას. ადამიანები დეპუტატთან მიდიან რჩევისა და დახმარებისათვის, უზიარებენ მას თავის სიხარულსა და მწუხარებას, ანდობენ საწუხარ აზრებს. ისინი დეპუტატთა წინაშე სვამენ სხვადასხვა საკითხებს, რომლებსაც ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს, ასახავენ მასების განწყობილებას. ამიტომ კანონპროექტში გათვალისწინებულია რომ დეპუტატს საბჭოში შეუძლია შეიტანოს წინადადებანი საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება მის სადეპუტატო საქმიანობასთან დაკავშირებით, საბჭოს აცნობოს მოსახლეობის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი.

პროექტის მე-19 მუხლში ჩაწერილია, რომ დეპუტატს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მის მიერ წარდგენილი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისადმი სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, რომლებიც საბჭოს ტერიტორიაზე მდებარეობენ, და შეუძლია მიიღოს პირადი მონაწილეობა მის მიერ დასახული საკითხების განხილვაში.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატთა ანგარიშებს ამომრჩეველთა წინაშე. 1970 და 1971 წლებში ამომრჩეველთა წინაშე ანგარიში ჩააბარა ყველა დეპუტატის 95 პროცენტზე მეტმა. მათთან შეხვედრებში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული მილიონი მშრომელი.

დეპუტატთა ანგარიშვალდებულების პრინციპი კონკრეტულად აისახა კანონპროექტის მე-6 და მე-20 მუხლებში, სადაც შექმნილი პრაქტიკის გათვალისწინებით განისაზღვრება ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშების მოწყობის ვადები და წესი. გარდა ამისა, პროექტში ნათქვამია, რომ დეპუტატები თავიანთ ამომრჩევლებს აცნობენ საბჭოს მუშაობის, გეგმების შესრულების, საბჭოების გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესახებ.

დეპუტატის ანგარიშვალდებულება და კონტროლქვეშ ყოფნა ნიშნავს, რომ მშრომელები არა მარტო ირჩევენ დეპუტატს, არამედ შეუძლიათ მოჰკითხონ კიდეც, თუ როგორ ასრულებს თავის მოვალეობებს. ჩვენს კონსტიტუციაში განმტკიცებულია ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის გაწვევის უფლება. მისი განხორციელების წესი რეგულირდება სპეციალური კანონებით. სწორედ ამომრჩეველთა ამ უფლებაზეა ლაპარაკი დღეს განსახილველად შემოტანილ პროექტშიც.

ერთი სიტყვით, კანონპროექტი ხელმძღვანელობს იმით, რომ საბჭოებისა და მათი დეპუტატების მთელი მუშაობა მიმდინარეობს ადამიანთა თვალწინ, მათი დაინტერესებული მხარდაჭერით, მასების ყოველდღიური კონტროლით. მასში შეტანილ დებულებებს მიზნად აქვთ უზრუნველყონ აგრეთვე საჯაროობის შემდგომი გაფართოება საბჭოების საქმიანობაში.

ამხანაგო დეპუტატებო!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ყოველი დეპუტატისათვის უზრუნველყოფენ საჭირო პირობებს, რათა შეუფერხებლად და ეფექტიანად ახორციელებდეს უფლებამოსილებებს.

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია დეპუტატის საქმიანობის მთელი რიგი ორგანიზაციულ-პოლიტიკური, სამართლებრივი და მატერიალური გარანტიები. თქვენს განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტი მეოთხე კარში ასახავს და აფართოებს ამ გარანტიებს. მასში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მათი თანამდებობის პირები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ დეპუტატს უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

პროექტში აღნიშნულია, რომ დეპუტატს შეუძლია მიმართოს სასახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და თანამდებობის პირებს თავისი საქმიანობის საკითხების გამო. ამასთან გათვალისწინებულია მათი მოვალეობა განიხილონ დეპუტატის მიმართვა და პასუხი გასცენ კანონით დადგენილ ვადაში.

ამას განსაკუთრებით იმიტომ უნდა გაესვას ხაზი, რომ პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვაწყდებით შემთხვევებს, როცა დეპუტატების წინადადებათა რეალიზაცია ჯეროვან დონეზე არ წარმოებს, დეპუტატებს ყოველთვის როდის აცნობებენ, თუ რა გაკეთდა მათი წინადადებების გამო.

რაც შეეხება დეპუტატთა წინადადებებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ისინი უნდა განიხილონ საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიებმა, მინისტრთა საბჭოებმა, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა.

საბჭოების სესიების მუშაობაში მონაწილეობისათვის და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში დეპუტატები თავისუფლდებიან საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობისაგან, დეპუტატის უფლებამოსილებათა შესასრულებლად, ამასთან მუდმივ სამუშაო ადგილზე ენახებათ საშუალო ხელფასი.

კანონპროექტში კიდევ უფრო განვითარდა და დაკონკრეტდა დეპუტატის შრომითი უფლებების ზოგიერთი გარანტია. კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ არც ერთი საბჭოს დეპუტატი არ შეიძლება დაითხოვონ სამუშაოდან ადმინისტრაციის ინიციატივით, გარიცხონ კოლმეურნეობიდან ან გადაიყვანონ დაბალ ხელფასიან სამუშაოზე საბჭოს წინასწარი თანხმობის გარეშე.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პროექტში დეპუტატებისათვის იურიდიული დახმარების გაწევის, მათთვის საჭირო მასალების მიცემის, გამოცდილების გაზიარების ორგანიზაციის საკითხებს.

გაზრდილი ამოცანების, აგრეთვე იმ საკითხთა ფართო წრის გათვალისწინებით, რომლებზეც მუდამ უხდება მუშაობა დეპუტატს, ნავარაუდევია დაწესდეს, რომ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები უფრო ფართოდ სარგებლობენ ტრანსპორტზე უფასო მგზავრობის უფლებით.

ზუსტდება და კონკრეტდება დებულებანი დეპუტატის ხელშეუხებლობის შესახებ.

ბევრმა დეპუტატმა, საბჭოთა მუშაკმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენელმა აღძრა საკითხი, რომ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთათვის შემოღებულ იქნეს სამკერდე ნიშანი. ეს, საყოველთაო აზრით, დეპუტატის აქტივობის გაძლიერების ერთ-ერთი საშუალება იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით კანონპროექტში გათვალისწინებულია, რომ ყველა საბჭოს დეპუტატებს ეძლევათ დეპუტატის მოწმობა და სამკერდე ნიშანი, რომლებითაც ისინი სარგებლობენ თავიანთ უფლებამოსილებათა ვადის განმავლობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატებმა თავიანთი გამოცდილებით იციან, რომ დეპუტატის ნიშანი ბევრ რამეს ავალებს. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთათვის ასეთი ნიშნის შემოღება შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებსაც დღეს ვუყენებთ მათ.

ასეთია, ამხანაგებო, ძირითადი დებულებანი დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის პროექტისა, რომელიც განსაზღვრავს მათს უფლებამოსილებებს, „ხოლო სიტყვა უფლებამოსილება, — ამბობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — აერთიანებს ორ ცნებას — უფლებას და მოვალეობას. ეს, ამხანაგებო, დიდი პატივიც არის და დიდი პასუხისმგებლობაც“.

სწორედ ამას ემყარება მთელი კანონის პროექტი. დეპუტატთა უფლებებს რომ აფართოებს და მათი საქმიანობის გარანტიებს აძლიერებს, იგი ავალებს თვითეულ დეპუტატს იყოს თავისი მაღალი წოდების ღირსი, ამართლებდეს მას აქტიური მუშაობით, ყველაფრით წარმოადგენდეს ხალხისადმი სამსახურის ნიმუშს.

კანონის მიღება ახალ შესაძლებლობებს დასახავს დეპუტატთა ინიციატივის გაშლისათვის, საბჭოების მთელი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

ახალი კანონის შესვლა ძალაში მოითხოვს, რომ მას შეუსაბამოთ მოქმედი საერთო-საკავშირო კანონმდებლობა, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის ზოგიერთი დებულება. ამასთან უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკები თავიანთი კანონებით, ისევე როგორც წინათ, საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტენ დეპუტატის საქმიანობის საკითხებს შესაბამისი საბჭოების დეპუტატთა უფლებრივი მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კანონის ძალაში შესვლის შემდეგ თვითეული საბჭო, ალბათ, გაანალიზებს თავის მუშაობას დეპუტატებთან კანონში ჩამოყალიბებულ დებულებათა თვალსაზრისით. საჭიროა დღეიდანვე განვაზოგადოთ და გავავრცელოთ ყოველივე საუკეთესო, რაც დეპუტატთა საქმიანობის პრაქტიკაში იბადება.

ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ჩვენს პრესას, რადიოს, ტელევიზიას, „იზვესტიას“, ჟურნალ „სოვეტი დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსიას“, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო გაზეთების ფურცლებზე სასარგებლო იქნებოდა სისტემატურად გამოქვეყნებულიყო მასალები, თუ როგორ ხორციელდება ახალი კანონის ნორმები.

დეპუტატის მუშაობა ძალ-ღონისა და ენერგიის დიდ დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეული დეპუტატი მუდამ გრძნობდეს ყველა საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების მხარდაჭერას, რომლებმაც წარგზავნეს იგი ხელისუფლების ორგანოში. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამაზე დიდად არის დამოკიდებული დეპუტატის აქტივობა, მთელი მისი საქმიანობის წარმატება.

საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მიღება კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სოციალისტური დემოკრატიის, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე. ეს აქტი იქნება ახალი დადასტურება იმისა, თუ როგორ ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დეპუტატისათვის, საბჭოების ,როგორც სრულუფლებიანი წარმომადგენლობითი ორგანოების, როლის ამაღლებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო!

საგულისხმოა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კანონს დეპუტატთა სტატუსის შესახებ განიხილავს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის წინ. საბჭოებმა ფასდაუდებელი როლი შეასრულეს მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოდ ჩვენი ქვეყნის ხალხთა შეკავშირებაში.

როგორც აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“, იმის მეოხებით, რომ მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენისათვის ახლობელი და მისაწვდომი იყო ისინი, საბჭოებმა მუშათა კლასის გარშემო გააერთიანეს გლეხობის, მრავალმილიონიანი მასები, სხვადასხვა ეროვნების ყველა მშრომელნი. თვით საბჭოების ინტერნაციონალური ბუნება რესპუბლიკების მშრომელთა მასებს უნერგავდა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის სურვილს. საბჭოების საქმიანობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ მუშებსა და გლეხებს შეუძლიათ წარმატებით მართონ სახელმწიფო, უფართოესი და თანამიმდევრული დემოკრატიზმის, სრული ეროვნული თანასწორობის საწყისებზე.

სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილე სოციალისტური დემოკრატიზმის, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის სიბრძნის, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე ძალის ახალი, მკაფიო დემონსტრაცია იქნება. (ტაში).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია

ხალხის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის

(დასასრული)

როცა ვაფართოებთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, როცა ვინარჩუნებთ და ვადიდებთ მიწის ნაყოფიერებას, ჩვენ ვცდილობთ რაც შეიძლება მეტი ეკონომიური ეფექტი მივიღოთ. წინასწარი მონაცემებით, წლევანდელი ძნელი წლის პირობებში ჩვენს ოლქში მარცვლეული კულტურების მოსავალმა 26 ცენტნერს მიაღწია. მოვიწიეთ შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის კარგი მოსავალი. მოვიმარაგეთ საჭირო რაოდენობის საკვები.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა დეპუტატმა ი. გ. პეტროვსკიმ თქვა: მე, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მოსკოვის მშრომელებისაგან, მინდა შევეხო დედაქალაქის ჰაერისა და წყლის აუზების გაჯანსაღების პრობლემებს.

სკკპ XXIV ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ამოცანად დაგვისახა გადავაქციოთ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ზრუნვის შედეგად, აღნიშნა ორატორმა, უკვე დღეს მოსკოვი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი და სუფთა ქალაქია. მიმდინარეობს დიდი მუშაობა წყლისა და ჰაერის აუზების გაჯანსაღებისათვის, ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მდინარე მოსკოვი 70 კილომეტრ სიგრძეზე მნიშვნელოვნად გაიწმინდა. მასში გადიდდა ჟანგბადის შემცველობა, ქალაქის ფარგლებში გამოჩნდა თევზი, წყალი გამოსადეგი გახდა მასობრივი ბანაობისა და სპორტისათვის. მაგრამ დედაქალაქის ყველა წყალსატევი როდი შეესაბამება მთლიანად სანიტარულ მოთხოვნილებებს. ნელი ტემპით მიმდინარეობს საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო, ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროებისა და სხვა სამინისტროთა საწარმოებში.

მოსკოველებს სასმელი წყლის ნაკლებობა არ განუცდიათ წლევანდელ ცხელ ზაფხულშიც. ერთ კაცზე წყალმომარაგება ჩვენში აღწევს 600 ლიტრს დღე-ღამეში. მოსკოვის წყალსადენის წყალი მსოფლიო სტანდარტებს სჯობნის. მაგრამ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ეს, თუ გავითვალისწინებთ დედაქალაქის განვითარების პერსპექტივებს, საჭიროა წყალმომარაგების ახალი წყაროები. ამჟამად შენდება ვაზუზის ჰიდროტექნიკური სისტემა. მისი ამოქმედებითა და მოსკოვის სახელობის არხის გამტარუნარიანობის გადიდებით უზრუნველყოფთ ქალაქის მყარ წყალმომარაგებას 1990-1995 წლებამდე.

ბევრი რამ კეთდება დედაქალაქის ჰაერის აუზის გაჯანსაღებისათვის. ქალაქის თბობალანსი შეიცვალა გაზის დიდი გამოყენების სასარგებლოდ. აქტუალურია აგრეთვე ხმაურისაგან ქალაქის დაცვის პრობლემა.

მოსკოვს მძლავრი მწვანე სარტყელი აქვს. ეს გარემოს გაჯანსაღებისა და გაწმენდის უზარმაზარი ფაქტორია.

განსაკუთრებული სიძნელის ამოცანაა ქალაქის განვითარების დაგეგმვა, რადგან მოსკოვში თითქმის 7 მილიონი კაცი ცხოვრობს, აღნიშნა ი. გ. პეტროვსკიმ. მაგრამ განაცხადა მან, სოციალისტური წყობილება ყველა შესაძლებლობას ქმნის ამ სიძნელეთა დასაძლევისათვის. ორატორმა განაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს მოხსენებაში წამოყენებულ წინადადებებს და გამოთქვა რწმენა, რომ წარმატებით შესრულდება პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა გადავაქციოთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად.

ტრიბუნაზეა კურსკის ოლქის კოლმეურნეობა „როსიას" მთავარი აგრონომი დეპუტატი ა. ნ. იუშჩენკო.

ჩვენი მიწათმოქმედების მოვალეობაა, თქვა მან, დღენიადაგ ვზრუნავდეთ ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის გაფართოებისათვის. ამას კი შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ მიწათმოქმედების კულტურის მაღალი დონის შედეგად. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი კოლმეურნეობის „როსიას" სპეციალისტებისა და ყველა მხვნელ-მთესველის მეცადინეობა. სახელმწიფოს დიდი დახმარების, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების გამოყენების საფუძველზე მეურნეობაში შევიმუშავეთ თითეული ჰექტარი მიწის გამოყენების გაუმჯობესების, მისი ნაყოფიერების ამაღლების ორგანიზაციულ-აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი სისტემა. მიწამაც უხვად აუნაზღაურა შრომა მხვნელ-მთესველთ. მიმდინარე ხუთწლედში მარცვლეული კულტურების საშუალო მოსავლიანობამ მიაღწია 32 ცენტნერს, შაქრის ჭარხლისამ — 339 ცენტნერს.

თითეულ მშრომელს ჩაუნერგეთ მიწისადმი სიყვარული და მზრუნველი დამოკიდებულება.

ნიადაგის, როგორც ძირითადი ეროვნული სიმდიდრის დაცვა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. ოლქის მეურნეობები იყენებენ კიდევ უფრო ქმედით ღონისძიებებს მიწის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სამთო დამუშავების, ელექტროსადგურების მშენებლობის დროს მიწის, წყლისა და სხვა რესურსების უყაირათო გამოყენების ფაქტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამრეწველო სამუშაოთა უსაფრთხოდ ჩატარებისადმი ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ლ. ბ. მელნიკოვმა განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესაბამისად განუწყვეტლივ იზრდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება. ამავე დროს დიდი მუშაობა მიმდინარეობს მომპოვებელ საწარმოებში წიაღის რაციონალური გამოყენებისათვის, რათა მაქსიმალურად ამოიღონ ძვირფასი პროდუქცია.

ამასთან, აღნიშნა ორატორმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საკითხი, როგორიცაა სამთო სამუშაოების არახელსაყრელი ზემოქმედებისაგან დედამიწის ზედაპირის დაცვა და ამ სამუშაოთა რაიონში მიწის ნაკვეთების ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომ შესაძლებელი იყოს მათი შემდგომი გამოყენება. ახლა სამთო სამუშაოები მიმდინარეობს დიდი ფართობების ნაყოფიერ მიწებზე, საძოვრებზე, ტყეებსა და სხვა სავარგულებში, მაგრამ მათი აღდგენის ღონისძიებებს ჯერ კიდევ საკმარისად არ მიმართავენ.

სამინისტროები და უწყებები, აღნიშნა ლ. ბ. მელნიკოვმა, მოვალენი არიან ყოველწლიურად დაუდგინონ საწარმოებს დავალებანი, რომ აღადგინონ და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გადასცენ სახნავი მიწები და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სადაც სამთო სამუშაოები მიმდინარეობდა, და ეს მუშაობა მიიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად.

ფერგანის ხეობა, — თქვა თავის გამოსვლაში უზბეკეთის კომპარტიის ანდიჟანის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ზ. რ. რახიმოვამ, — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უმდიდრესი და ულამაზესი ადგილია. ეს არის შუა აზიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული კუთხე. ამ მზიან მხარეში ნაყოფიერი ნიადაგია, თბილა, მიწათმოქმედის მრავალსაუკუნოვანი შრომით შექმნილია საირიგაციო არხების ხშირი ქსელი.

ორატორი შეეხო ღონისძიებებს, რომლებიც ოლქში ხორციელდება სახნავების დაცვისა და ნაყოფიერების გაზრდისათვის. სოფლის მეურნეობაში ქიმიურ საშუალებათა ფართო გამოყენების პირობებში მოსახლეობის ჯანმრთელობის, ბუნებრივი რესურსების დაცვას განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება. დიდი მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ შემცირდეს ძლიერ მოქმედი ტოქსიკური შხამქიმიკატების რაოდენობა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შხამქიმიკატების გამოყენება შვიდჯერ შემცირდა. მკვეთრად შემცირდა აგრეთვე ქლორორგანული პრეპარატების გამოყენება.

მებამბეობის რესპუბლიკების პირობებში ატმოსფეროს გაჭუჭყიანებას მნიშვნელოვნად იწვევს ბამბის საწმენდი მრეწველობის საწარმოები. ოლქის სპეციალისტები იბრძვიან ამ ბოროტების წინააღმდეგ და შეიმუშავეს და უკვე ნერგავენ მტვერსაჭერ დანადგარს, რომლის ჰაერის გაწმენდის ეფექტიანობა 98 პროცენტს აღწევს. ორატორმა წამოაყენა წინადადება, რომ მოეწყოს ამ დანადგარის ცენტრალიზებული წარმოება.

ემზადება რა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად, უზბეკეთი იბრძვის ბამბის დიდი მოსავლისათვის. ანდიჟანის ოლქში, ისევე როგორც მთელ რესპუბლიკაში, თქვა ორატორმა, მოწეულია მოსავალი, რომელიც საშუალებას მისცემს მებამბეებს არ გატეხონ პარტიისათვის მიცემული სიტყვა.

ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დეპუტატმა მ. ს. ასიმოვმა თავის გამოსვლაში ბუნების გეგმაზომიერი გარდაქმნისა და ადამიანის საკეთილდღეოდ მისი სიმდიდრის კომპლექსური გამოყენების მაგალითად მოიყვანა ტაჯიკეთის ვახშის ხეობა. გადაბუგული უდაბნო საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა აყვავებული ბაღების, ნაყოფიერი ყანების მხარედ, სადაც მოდის უძვირფასესი წმინდა ბოჭკოვანი ჯიშის ბამბა.

საბჭოთა ხალხის საერთო ძალით, თქვა მ. ს. ასიმოვმა, დაიწყო ტაჯიკეთის უზარმაზარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისება. ამჟამად ჰიდრომშენებელთა მრავალეროვანი კოლექტივი აგებს შუა აზიაში უდიდეს ნურეკის ჰიდროელექტროსადგურს. გმირულად შრომობენ ნურეკის მშენებლები, რათა ჩვენი ხალხების ერთიანობის დიადი დღესასწაული — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი სადგურის პირველი აგრეგატის ამოქმედებით აღნიშნონ. ტაჯიკეთის მდინარეებზე სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა დიდ როლს ასრულებს შუა აზიის უდიდესი წყლის არტერიების ჩამონადენის რეგულირებაში, რაც საშუალებას მოგვცემს ავითვისოთ მილიონი ჰექტარი მიწა თვით ტაჯიკეთში, აგრეთვე უზბეკეთსა და თურქმენეთში.

დეპუტატმა ილაპარაკა პრობლემებზე, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დგას ტაჯიკეთის მდიდარი წიაღის კომპლექსური გამოყენების, სამრეწველო ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან მდინარეების დაცვის დარგში. აღნიშნა, რომ საჭიროა კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება ქალაქებსა და დაბებში ჰაერის აუზის სიწმინდის დასაცავად. ორატორი მთლიანად ეთანხმება ადრე გამოსულ დეპუტატთა განცხადებებს იმის შესახებ, რომ მშობლიური მხარის ბუნებისადმი სიყვარულისა და მზრუნველი დამოკიდებულების დანერგვა ახალგაზრდა თაობისათვის უნდა მივიჩნიოთ სასწავლებლების, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დეპუტატი ბ. ვ. პეტროვსკი.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ ფართო სოციალურ-ეკონომიურ ღონისძიებათა პროგრამაში ქალაქებისა და მუშათა დაბების შემდგომ კეთილმოწყობასთან ერთად გათვალისწინებულია ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების პირობების გაჯანსაღებას, თქვა მან.

სსრ კავშირში არის მთელი რიგი უწყებები, რომლებიც პასუხს აგებენ ბუნების დაცვისათვის. მათ შორის არის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული სამსახური. იგი ახლა აერთიანებს თითქმის 200 ათას სანიტარიის ექიმს, ინჟინერსა და სხვა თანამშრომელს, რომლებიც ოთხი ათას სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურსა და დაწესებულებაში მუშაობენ.

ორატორი შეეხო ჰიგიენისა და სანიტარიის კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ამოცანათა გადაწყვეტასთან.

უკანასკნელი წლების მანძილზე, აღნიშნა მან, მოსკოვის სამრეწველო საწარმოებში აშენდა 7 ათასზე მეტი გაზ-ნავარ-მტვერდამჭერი და სხვა საწმენდი დანადგარი. ამის შედეგად 15 წლის მანძილზე ატმოსფეროს გაჭუჭყიანება 3-4-ჯერ შემცირდა. ამიტომ ახლა ჩვენს დედაქალაქს დამსახურებულად უწოდებენ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სუფთა დედაქალაქს. ბევრი რამ კეთდება გარემოს გაჯანსაღებისათვის აგრეთვე ლენინგრადში, კიევში, მინსკში, სვერდლოვსკში, მაგნიტოგორსკში, ზაპოროჟიესა და სხვა სამრეწველო ცენტრებში. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ქალაქებში ჰაერის გაჭუჭყიანების დონე ჯერ კიდევ მაღალია. არანაკლები მნიშვნელობის პრობლემაა აგრეთვე წყალსატევების სანიტარიული დაცვა. ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვებრძოლოთ ხმაურს საწარმოებში, დაწესებულებებში, ბინებში, მოსახლეობის დასასვენებელ ადგილებში.

კავშირის საბჭოთა სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები ა. ა. კოჩეტოვი (კარელიის ასსრ), ა. გ. ვალიხანოვი (თათრეთის ასსრ), გ. ა. მიკულიჩი (ბრესტის ოლქი), მ. ა. ფერინი (ბაშკირეთის ასსრ), ი. კ. აბდუგულოვი (ალმა-ათის ოლქი).

20 სექტემბერს სესია მუშაობას განაგრძობს. (საქტაგი).

უსაზღვროა ჩვენი სამშობლოს სივრცეები. ჭეშმარიტად ზღაპრულია მისი ბუნებრივი სიმდიდრენი. უხვია ჩვენი მიწის წიაღი. და რაც უფრო ფართოდ და სრულად ვიყენებთ ამ სიმდიდრეს ხალხის, მთელი საბჭოთა საზოგადოების საკეთილდღეოდ, მით უფრო მეტ ზრუნვას, ნამდვილად გონივრულ, ყაირათიან დამოკიდებულებას მოითხოვს მინერალური რესურსები და თვით ბუნებაც. სწორედ ამიტომ ასეთი დიდი დაინტერესებით დეპუტატები ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენლები — განიხილავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საარსებო მნიშვნელობის საკითხს ბუნების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების შესახებ.

20 სექტემბერს მუშაობა განაგრძო სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ.

დილის 10 საათზე კრემლში პალატების სხდომათა დარბაზში დაიწყო ეროვნებათა საბჭოს სხდომა.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები ამხანაგებს ა. ნ. კოსიგინს, დ. ს. პოლიანსკის, ა. ნ. შელეპინს, ბ. ნ. პონომარიოვს.

სხდომა გახსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ხ. ნასრიდინოვამ. მან თანამომხსენებისათვის სიტყვა მისცა ეროვნებათა საბჭოს ბუნების დაცვის კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ვ. ა. კარლოვს.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, თქვა მან, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა წამოაყენა მოთხოვნა ბუნებასთან, მის სიმდიდრეებთან სათუთი, ყაირათიანი დამოკიდებულების შესახებ. მას შემდეგ ბუნების დაცვა, ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესება მუდამ არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში.

ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება დიდი ღონისძიებანი წყალსატევებისა და ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის, დასახლებული პუნქტების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის — მუშავდება და ინერგება ისეთი ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც არ იძლევიან მავნე ნარჩენებს, შენდება მძლავრი საწმენდი ნაგებობანი. იქ, სადაც წინათ მცხუნვარე მზის ქვეშ გადამწვარი იყო უნაყოფო ქვიშრობები, ახლა მიედინებიან წყალუხვი მდინარეები, რომლებიც მაცოცხლებელ ტენს აძლევენ ბამბისა და ბრინჯის ბარაქიან ნათესებს. ამ მდინარეების ნაპირებზე მწვანე ბაღებში აშენდა ახალი ქალაქები და დაბები.

ბუნების შემდგომი მიზანსწრაფული გარდაქმნისა და მის სიმდიდრეთა გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში პარტიის XXIV ყრილობაზე. ყრილობის დირექტივებში განსაზღვრულია ბუნების დაცვის ძირითადი ამოცანები და ხაზგასმულია, რომ საჭიროა გაიზარდოს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მიწის, წყლის, ატმოსფეროს, სასარგებლო წიაღისეულის რაციონალურად გამოყენებისათვის, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს კვლავწარმოებისათვის.

გარემოს დაცვა, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა. მან აღნიშნა, რომ ამ მუშაობაში აქტიური როლი ეკუთვნის საზოგადოებრიობას.

ვ. ა. კარლოვმა სესიის მონაწილეთ განუცხადა, რომ ბუნების დაცვის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიები იზიარებენ და მხარს უჭერენ იმ მოხსენების დებულებებს, რომლებიც გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ა. კირილინმა.

ამასთან კომისიებს საჭიროდ მიაჩნიათ დეპუტატების ყურადღება მიაპყრონ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ბრძოლა ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებასთან. ჰაერის გარემოს გაუმჯობესების განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად მსხვილი სამრეწველო ცენტრების ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების დონე მაინც ნელა მცირდება.

კომისიებს საჭიროდ მიაჩნიათ დაავალონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შესაბამის სამინისტროებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი მაღალეფექტიანი გაზგამწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობისა და აპარატურის წარმოების გადიდებისათვის, რათა ხუთწლედის დამლევამდე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილდეს. ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, კომისიების აზრით, საჭიროა შემუშავებულ და მიღებულ იქნას კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, თქვა შემდეგ დეპუტატმა, წყალსატევების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი გაჭუჭყიანების თავიდან აცილება. ამ ბოლო წლების მანძილზე ბევრ საწარმოში განხორციელდა სხვადასხვა ტექნოლოგიური ღონისძიებანი ჩამდინარე წყლების რაოდენობის შემცირებისათვის, მათი გაწმენდის მეთოდების სრულყოფისათვის. ქვეყანაში ყოველწლიურად შენდება ათასზე მეტი საწმენდი ნაგებობა. მაგრამ ამას საკმარისად ვერ მივიჩნევთ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა ჩამდინარე წყლების გაწმენდის ახალი, უფრო ეკონომიური და ეფექტიანი მეთოდების შემუშავება, რომლებიც გამორიცხავენ მავნე ნივთიერებათა გადაყრას წყალსატევებში, უფრო აქტიურად წარმოებდეს.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სიმდიდრე დაუშრეტელი როდია, და ის, რასაც დღეს გამოვიყენებთ, ხვალ ვეღარ აღდგება. ამიტომ, ერთი მხრივ, განუწყვეტლივ უნდა ვაძლიერებდეთ ადგილობრივი მინერალური ნედლეულის დაზვერვას, მეორე მხრივ კი რაციონალურად და კომპლექსურად ვიყენებდეთ მას. ამ თვალსაზრისით პალატების ბუნების დაცვის კომისიებმა წელს განიხილეს შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოთა მიერ წიაღისეულის გამოყენების საკითხი. ვ. ა. კარლოვმა აღნიშნა, რომ ბევრ სამთო საწარმოში ჯერ კიდევ დიდია შავი და ფერადი ლითონების მადნის დანაკარგები მათი მოპოვების დროს. ფერად მეტალურგიაში ლითონების დიდი დანაკარგები გვაქვს პირველადი დამუშავების — გამდიდრების დროს.

კომისიებს, თქვა მან, საჭიროდ მიაჩნიათ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაავალონ, რომ სამინისტროებთან ერთად შეიმუშაოს სამთო-მომპოვებელი საწარმოების განვითარების დაგეგმვის ისეთი წესი, რომელიც ხელს შეუწყობს მინერალური ნედლეულის კომპლექსურ გამოყენებას.

თანამომხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიწების გამოყენებისა და მათი დაცვის, უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების საკითხებს.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, თქვა ორატორმა, უნდა განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ გააუმჯობესონ სარწყავი და დაშრობილი მიწების გამოყენება, დააჩქარონ ძველი სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია, გაზარდონ მათი წყალუზრუნველყოფა, სრულყონ მელიორაციულ სისტემათა ექსპლოატაცია.

დეპუტატი შეეხო ტყის რესურსების გამოყენებას და აღნიშნა ზოგიერთი სერიოზული ნაკლი. დღემდე მერქნის დიდ ნაწილს ამზადებენ სსრ კავშირის ევროპულ ნაწილსა და ურალის რაიონებში. აქ ხშირად ურიგდებიან ტყის ზომიერი ჩეხვის შემთხვევებს, ხოლო ციმბირის ტყიანი სივრცეების ათვისება ნელა მიმდინარეობს. ჯერ კიდევ ბევრს ჭრიან წიწვიან ჯიშებს, რბილწიწვიან კი, აგრეთვე რბილფოთლოვანი ჯიშების მერქნის მარაგს საკმარისი რაოდენობით არ იყენებენ. ხე-ტყის დამამზადებლები დიდძალ ფოთლოვან მერქანს კარგავენ ტყესაკაფებში ნაწილობრივ მოჭრილი და დამზადებული ხე-ტყის სახით. შეშფოთებას იწვევს აგრეთვე მერქნის მნიშვნელოვანი დანაკარგები ხე-ტყის დაშლილად დაცურებისა და გადამუშავების დროს.

კომისიათა აზრით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სატყეო მრეწველობის სამინისტრომ უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მერქნის დამზადებისა და გამოყენების დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის, ხოლო სატყეო მეურნეობის კომიტეტმა მეტი კონტროლი უნდა გაუწიოს ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებში მერქნის დამზადების წესების დაცვას.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აგრეთვე განხილულ იქნას ცხოველთა სამყაროს დაცვის შესახებ კანონის პროექტის შემუშავების საკითხი.

კომისიათა აზრით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მერქნის დამზადებისა და გამოყენების დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა მეტი კონტროლი უნდა გაუწიოს ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოების მიერ მერქნის დამზადების წესების დაცვას.

მიზანშეწონილია აგრეთვე, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს ღონისძიებანი და მიიღოს საჭირო გადაწყვეტილებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის კოორდინაციას ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მათი დაცვის დარგში.

ყველა საჭირო პირობა გვაქვს იმისათვის, რომ წარმატებით გადავწყვიტოთ ბუნების დაცვის მომწიფებული პრობლემები, თქვა დასასრულ ვ. ა. კარლოვმა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხის ინტერესებისათვის ყაირათიანად გამოვიყენებთ მიწებს, წყალს, წიაღისეულსა და ყველა სხვა ბუნებრივ სიმდიდრეს, რომლითაც ასეოდენ უხვად არის ჩვენი მშვენიერი სამშობლო.

თანამომხსენების შემდეგ დაიწყო კამათი. პირველი გამოვიდა დეპუტატი ხ. ბ. ნიაზბეკოვი — ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადებიან რესპუბლიკის მშრომელები სახელოვანი იუბილეს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად. განსაკუთრებული მზრუნველობით არიან გარემოსილი ახლა სოფლის მშრომელნი, აღნიშნა ორატორმა. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლამ ყამირ მიწებზე, მისმა შეხვედრებმა და საუბრებმა მხვნელ-მთესველებთან პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. მიწათმოქმედნი თავდადებით იბრძვიან დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ისწრაფვიან მისცენ ქვეყანას რაც შეიძლება მეტი პური, ხორცი, რძე, მატყლი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში მოპოვებული წარმატება, განაგრძო ხ. ბ. ნიაზბეკოვმა, განუხრელად დაკავშირებულია სამეურნეო ბრუნვაში ბუნებრივი რესურსების განუწყვეტელ ჩაბმასთან. ყაზახეთში ხორციელდება ღონისძიებათა დიდი კომპლექსი, რომლებიც მიზნად ისახავენ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვასა და გამდიდრებას. უკანასკნელი რამოდენიმე წლის მანძილზე ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილებანი წიაღის, ნიადაგის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, მცენარეთა სამყაროს დაცვის შესახებ. მათმა პრაქტიკულმა განხორციელებამ გარკვეული დადებითი შედეგი მოგვცა. რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღებულია ბრძოლა ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ. ალმა-ათაში საბჭოთა კავშირში პირველად შემოვიღეთ სახელმწიფო კონტროლი ავტომობილის ძრავების მიერ გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობისადმი.

ამასთან, თქვა დეპუტატმა, არის მავნე ნივთიერებებით მდინარეების, ტბების, ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების შემთხვევები. ამ მოვლენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ, საწმენდი ნაგებობანი არა აქვთ მთელ რიგ საწარმოებს. მათი მშენებლობის გეგმა წლითიწლობით არ სრულდება.

ხ. ბ. ნიაზბეკოვმა აღნიშნა, რომ მომწიფდა საჭიროება შეიქმნას სპეციალური ორგანო ბუნების დაცვის დარგში სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებათა მოქმედების კოორდინაციისათვის. ამ დიდმნიშვნელოვანი უბნის მუშაობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისათვის.

აზერბაიჯანის ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების დიდმნიშვნელოვან პრობლემებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა დეპუტატმა ჰ. მ. აბდულაევმა. მან აღნიშნა, რომ მოსახლეობის, მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წყლით უზრუნველყოფას, მდინარეებისა და წყალსატევების გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისათვის, რომელიც განეკუთვნება წყლის რესურსების შეზღუდული მარაგის მქონე რაიონებს.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს წყლის მარაგის გამოყენების გაუმჯობესებისა და გაჭუჭყიანებისაგან მისი დაცვის გაძლიერებისათვის. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე წყლის დაცვის ღონისძიებებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ასიგნობანი ერთიორად და მეტად გაიზარდა და ერთობლივად 17 მილიონ მანეთს მიაღწია. შედგენილია წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის გენერალური სქემა.

ამასთან პირველ ადგილზე დგას საკმაო რაოდენობის სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა, წყალსადენების მშენებლობა.

ამასთანავე, აღნიშნა ორატორმა, წყალსაცავებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ სისტემათა მშენებლობის ტემპი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ აგრეთვე იმისათვის, რომ გადაწყდეს კასპიის ზღვის — ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი თევზსამეურნეო წყალსატევის დაცვისა და უკეთ გამოყენების პრობლემები. დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აქტუალური სახალხო-სამეურნეო ამოცანაა აგრეთვე სამთომადნო მრეწველობის ნარჩენების რაციონალური გამოყენება.

ბუნების დაცვის საკითხები, თქვა თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ო. ნ. ორაზმუჰამედოვმა, უკანასკნელ დროს ორჯერ განიხილეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებზე.

თურქმენეთში აშენდა კასპიის ზღვის ნაპირზე განლაგებულ საწარმოთა ჩამდინარე წყლების გასაწმენდი რამოდენიმე ნაგებობა. მკვეთრად შემცირდა წყლის გაჭუჭყიანება კასპიის ზღვის კრასნოვოდსკის ყურეში. რესპუბლიკაში აიკრძალა ნადირობა ისეთ იშვიათ ცხოველებზე, როგორიცაა არის კანჯარი, ქურციკი, საიგა. შეიქმნა ნაკრძალები მძლავრ წყლის ფრინველთა გამოზამთრების ადგილებში. გაძლიერდა ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

თურქმენეთისათვის, რომლის ტერიტორიის დაახლოებით 80 პროცენტს ყარაყუმის უდაბნოს უჭირავს, დიდი მნიშვნელობა აქვს ქვიშრობების გამაგრებას, მათგან სარწყავი მიწების, გზების, საძოვრებისა და დასახლებული პუნქტების დაცვას.

მიმდინარე ხუთწლედში ახალი ტყის ნარგავები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვიშრობების გამაგრებას, გაშენდება 280 ათას ჰექტარზე.

მიუხედავად წლევანდელი ამინდის მძიმე პირობებისა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ბამბის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის კარგი მოსავალი მოიყვანეს, შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, აბრეშუმის პარკის, კრავლისა და კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმები. მშრომელთა ახალი უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მებამბეობის რესპუბლიკების პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ ამ თათბირზე. მებამბეებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი, რომ საიუბილეო წელს მისცენ სამშობლოს სულ ცოტა 930 ათასი ტონა ბამბა.

დეპუტატმა პ. ი. სტრაუმანისმა — ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ილაპარაკა რა რესპუბლიკის ტყის სიმდიდრეთა გამოყენებაზე, აღნიშნა, რომ ურბანიზაციის მზარდ პროცესთან დაკავშირებით ტყეებს სულ უფრო მეტი სანიტარულ-ჰიგიენური და ესთეტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

ქალაქების მშრომელთა სრულფასოვანი დასვენების პირობების შექმნა, თქვა მან, ახლა ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა, რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული მთლიანად ბუნების დაცვის პრობლემასთან.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის რომ ვზრუნავთ, საჭიროა გაცილებით მეტი ყურადღება დავუთმოთ ლანდშაფტის ფორმირებასა და დაცვას. ლატვიის სსრ რესპუბლიკაში უკვე იქმნება მუდმივი ლანდშაფტური ნაკრძალების სისტემა.

რესპუბლიკაში, განაგრძო ორატორმა, ხორციელდება გაჭუჭყიანებისაგან ზღვის დაცვის ღონისძიებათა კომპლექსი. საწმენდი ნაგებობანი ვენტსპილსის ნავსადგურში, მაგალითად, ყოველწლიურად წმენდენ 4 მილიონ კუბურმეტრ ბალასტიან წყლებს და აგროვებენ 30-35 ათას ტონა ნავთობს. ყველა ნავსადგურში მუშაობენ მცურავი ნავთობნაგავშემგროვებლები.

ორატორმა აღნიშნა, რომ მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, წყლების დაცვის პრობლემა რესპუბლიკაში მთლიანად როდია გადაჭრილი. მან გააკრიტიკა ზოგიერთი სამინისტრო, კერძოდ, სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელები, რომლებიც ჯერ კიდევ არ უთმობენ საკმარის ყურადღებას საწმენდ ნაგებობათა მშენებლობასა და რეკონსტრუქციას.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგრონიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის განყოფილების ხელმძღვანელი დეპუტატი მ. კ. დარასელია.

კიროვოგრადის ოლქის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი დეპუტატი ა. ვ. გიტალოვი თავის გამოსვლაში შეეხო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთელი მიწების გამოყენების გაუმჯობესების საკითხებს. რამდენიმე წლის წინათ, თქვა მან, უკრაინაში დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება მიწათმოქმედების მაღალი კულტურის რაიონის, მეურნეობის, ბრიგადის, განყოფილების წოდების უფლებისათვის.

მარტო კიროვოგრადის ოლქში ეს მაღალი წოდება უკვე მიენიჭა სამ რაიონს, 41 კოლმეურნეობას, 77 ბრიგადას. თუმცა ოლქში მიღწეულია მიწების გამოყენების მაღალი დონე, ახლა შემუშავებულია ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ხუთწლედის დამლევამდე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებისათვის დამატებით ავითვისოთ 4 ათას ჰექტარზე მეტი ამჟამად გამოუყენებელი ფართობები. ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ერთიორად შეამცირეს სახნავი მიწების გამოყოფა მშენებლობისათვის.

დიდ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, აღნიშნა ა. ვ. გიტალოვმა, რომ ოლქის სამთომომპოვებელი საწარმოები ცუდად და ნელა აწარმოებენ დამუშავებული ფართობების აღდგენას და რეკულტივაციას. მაგალითად, „ალექსანდრიანახშირის" კომბინატმა დამუშავებით დაარღვია 2.5 ათასი ჰექტარი მიწა, მთელი დროის მანძილზე კოლმეურნეობებს დაუბრუნა მხოლოდ მისი ნაწილი. ამასთან უმრავლესობა გამოუსადეგარია მექანიზებული დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვისათვის. კომბინატისათვის განსაზღვრული მიწების რეკულტივაციის გეგმები აშკარად შემცირებულია.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა, დეპუტატმა ე. ე. ალექსეევსკიმ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენს სამშობლოს წყლის უდიდესი მარაგი აქვს. საბჭოთა კავშირის მდინარეების მთლიანი წლიური ჩამონადენი ტრილიონ კუბურ მეტრს უდრის. მაგრამ წყლის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ჩრდილოეთ რაიონებზე, მაშინ როცა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალური მომხმარების ძირითად დატვირთვას ქვეყნის სამხრეთის მდინარეები განიცდიან. ამიტომ უმნიშვნელოვანესი პრობლემაა წყლის რაციონალურად, ეკონომიურად გამოყენება.

წყლის უმნიშვნელოვანესი მომხმარებელია სოფლის მეურნეობა. მის წილად უკვე ახლა მოდის წყლის მთელი ხარჯვის ნახევარზე მეტი. სახალხო მეურნეობის ყველა საჭიროების შეუფერხებელი დაკმაყოფილებისათვის დასახულია განხორციელდეს დიდი პროექტები ქვეყნის სამხრეთ რაიონებში ციმბირისა და ჩრდილოეთის რაიონების ჩადინების ნაწილის გადაგდების შესახებ.

ისეთი არხების მშენებლობის მეოხებით, როგორიცაა კუიბიშევის, ვოლგა-ურალის არხები, განხორციელდება გრანდიოზული ვოლგისპირეთის შემდგომი გაწყლოვანება, რასაც საფუძველი ჩაუყარა ვოლგისპირეთის დიდი საირიგაციო პირმშოს — სარატოვის არხის მშენებლობამ.

მოსახლეობის განუწყვეტლივ მზარდი ეკონომიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ადამიანების ცხოვრების საუკეთესო პირობების შექმნას შეესაბამება მიწების მელიორაციის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, თქვა მინისტრმა. გეგმამ უნდა უზრუნველყოს იმ დიდი სასოფლო-სამეურნეო რაიონების მიწების მაღალი და მუდმივ მზარდი ნაყოფიერება, რომლებსაც რთული ბუნებრივი პირობები აქვთ.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, ხაზი გაუსვა ე. ე. ალექსეევსკიმ, დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკიდან შესაბამის დასკვნებს გამოიტანს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად გააძლიერებს ბრძოლას სამელიორაციო სისტემების ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისა და მათი ექსპლოატაციის გაუმჯობესებისათვის, რწყვის ტექნიკის სრულყოფის, წყლის ყაირათიანად ხარჯვისა და დამლაშების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ყველა საბჭოთა ადამიანმა მოიწონა ამ ბოლო ხანს მიღებული დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი ბუნების დაცვის დარგში, თქვა თავის გამოსვლაში ვულკანეშტის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. ხ. რამკულევმა. ეს არის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები, წყლის კანონმდებლობის საფუძვლები, დოკუმენტები წყლის რესურსების დაცვის შესახებ და სხვები. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, რომ მივაღწიოთ მათ განუხრელ შესრულებას.

მოლდავეთისა და მისი სოფლის მეურნეობისათვის, თქვა ორატორმა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიწების დაცვას ინტენსიური წყლისმიერი ეროზიისაგან.

მაგრამ ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში ნაკლი ის არის, რომ ზოგჯერ მუშაობას სხვადასხვა ორგანიზაციები ცალ-ცალკე აწარმოებენ. დადგა იმის საჭიროება, რომ შეიქმნას ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოთა გენერალური მოიჯარადრე, რომელიც შეასრულებს ამ სამუშაოთა მთელ მათ კომპლექსს.

დ. ხ. რამკულევმა აღნიშნა, რომ ბუნების დაცვის იდეების პროპაგანდა, ადამიანთა აღზრდა მისი პატივისცემის სულისკვეთებით ჯერ კიდევ ჩამორჩება თანამედროვეობის გაზრდილ ამოცანებს. სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები მოსწავლეებს ჯერ კიდევ ვერ აძლევენ საკმაო ცოდნას ამ საკითხებში, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მათ საწარმოო კოლექტივებში.

ჩვენი რესპუბლიკა, თქვა ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა მ. ბ. ტინურისტმა, შედარებით მდიდარია წყლის რესურსებით. მაგრამ მრეწველობისა და მოსახლეობის წყლით მომარაგება სულ უფრო რთული პრობლემა ხდება.

რამდენიმე წლის წინათ რესპუბლიკაში შემუშავებული იყო წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის გენერალური სქემა. უმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო მიწების მელიორაციის პრაქტიკა. ახლახან პროექტებში გათვალისწინებული იყო მხოლოდ მიწების დაშრობა და ჭარბი წყლის გადაგდება მდინარეებით ზღვაში. ახლა ტენს ვაგროვებთ წყალსაცავებში გასაწყლოვანებელი სისტემებისა და დასაწვიმებელი დანადგარების შესაქმნელად.

რესპუბლიკაში ამ ბოლო წლების მანძილზე განხორციელდა ჩამდინარე წყლების გაწმენდის გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი. რესპუბლიკის საპროექტო-საძიებო ორგანიზაციათა ერთობლივი მეცადინეობის შედეგად აშენდა სხვადასხვა სიმძლავრის ბიოლოგიური საწმენდი ნაგებობანი. მათი გაწმენდის ეფექტი აღწევს 95 პროცენტს, ხოლო ნაგებობების ღირებულება ორ-სამჯერ ნაკლებია, ვიდრე წინანდელებისა.

ყირგიზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ტ. ტ. მორზუნმა, როცა შეეხო მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, თქვა, რომ ყირგიზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელები ბეჯითად ადიდებენ მინდვრების ნაყოფიერებას, ზრდიან პროდუქტების წარმოებას. ამ ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყოფა მშენებლობისათვის, ათვისებულია ათასობით ჰექტარი ახალი ფართობი. ამასთან დეპუტატმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა საკმაო სიფრთხილით არ ეკიდებიან მიწას.

დეპუტატის აზრით, ელექტროფიკაციისათვის წყლის რესურსების გამოყენებისას დამპროექტებლები ყოველთვის როდი ითვალისწინებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტერესებს.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ი. პ. ლემიისს — პანევეჟისის რაიონის ლიტვის კომპარტიის VI ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მან აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევა მუდამ უნდა იყოს შეხამებული ბუნებრივი სიმდიდრეების მიზანშეწონილი გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფასთან, ცოცხალი ბუნების რესურსების გადიდებასთან, მხარის თავისებურებისა და სილამაზის დაცვასთან. იგი განსაკუთრებით შეეხო რესპუბლიკის სანადირო ფაუნის დაცვისა და განვითარების საკითხს.

მის გამოსვლაში დიდი დამაჯერებლობით გაისმა წინადადება ბუნების დაცვის დარგში სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდის სრულყოფის საჭიროების შესახებ. მისი აზრით, ისინი, ვინც ზიანს აყენებენ ბუნების სიმდიდრეებს, უნდა დაისაჯონ დანაშაულის ადგილზე.

თითეული ჩვენგანი, აღნიშნა დეპუტატმა, პასუხისმგებელია იმისათვის, რომ ჩვენს მიწას მოჰქონდეს უხვი მოსავალი, რომ ცხოველთა სამყარო იყოს მდიდარი, გარემო კი ჯანსაღი და მშვენიერი.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, აღნიშნა ჩუკოტკის საოკრუგო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ლ. ბ. ტინელმა, მოითხოვა ახალი, ნაკლებად დასახლებული სივრცეების ათვისება. მიმდინარეობს ადამიანის ფართო ორგანიზებული გადანაცვლება ჩრდილოეთისაკენ. სწორედ ამ რაიონებმა უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის შემდგომ განვითარებაში. ჩუკოტკის წიაღი მდიდარია თითქმის ყველა სახეობის ძვირფასი სასარგებლო წიაღისეულით. უკვე ახლა ყინულოვანი ოკეანის ნაპირას იღებენ ოქროს, პლატინას, ალუმინის ნედლეულს.

მდიდარია ჩრდილოეთის ცხოველთა სამყაროც. ნახევარკუნძულის საძოვრებზე უვლიან ჩვენს ქვეყანაში უდიდეს ჩრდილოეთის ირმების ჯოგს. აქ, როგორც ნაკრძალში, შენარჩუნებულია იშვიათი სახეობის ცხოველები — თეთრი დათვები, ზღვის ლომები, აქ არის საბჭოთა კავშირში ერთადერთი თეთრი ბატების საბუდარი.

ბუნების უნიკალური კუთხე ადამიანისაგან სათუთ მოპყრობას მოითხოვს. ჩრდილოეთის ბუნება მგრძნობიარეა ყოველგვარი ჩარევისადმი. მისი აღდგენა გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე სხვა რაიონებში. ბუნებრივი მარაგის ათვისება, სამრეწველო კომპლექსების მშენებლობა უნდა წარმოებდეს ზუსტი მეცნიერული გეგმით. ლ. ბ. ტინელმა გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა შეიქმნას თავისებური საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც ერთიანი კალაპოტით წარმართავდა იმ სხვადასხვა ორგანიზაციების მეცადინეობას, რომლებიც ჩრდილოეთის პრობლემებს წყვეტენ, მაშინ ბუნება, დაუზარალებლად, მისცემს ადამიანს თავის სიმდიდრეებს.

იმ მუშაობაზე, რომელიც ბუნების დაცვისათვის წარმოებს სომხეთის სს რესპუბლიკაში, სესიაზე ილაპარაკა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა დეპუტატმა მ. ვ. ნერსესიანმა. საბჭოთა სომხეთისათვის ბუნების დაცვის საკითხებს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რესპუბლიკის შედარებით მცირე ტერიტორიაზე განლაგებულია მრავალი სამთამადნო, მეტალურგიული, ქიმიური და სხვა საწარმოები, რომელთა ნარჩენები ზიანს აყენებენ ბუნებას, ადამიანის ჯანმრთელობას. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სევანის ტბის ბედი. ახლა ხორციელდება სერიოზული ღონისძიებანი ამ უნიკალური მთის ტბის დონის შესანარჩუნებლად.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბუნების დაცვასა და მისი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში უდიდესი როლი ეკუთვნის მეცნიერებას.

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ვ. ე. ლობანოკმა აღნიშნა, რომ ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მშრომელები ფართო მასშტაბით აწარმოებენ სამუშაოებს სახნავი სავარგულების გაუმჯობესებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი მიწების მოქცევისა და მათი ნაყოფიერების გადიდებისათვის. რესპუბლიკაში მელიორირებულია 1,9 მილიონი ჰექტარი მიწა. ხუთწლედში აშენდება სამელიორაციო სისტემები და განხორციელდება მოქმედთა რეკონსტრუქცია კიდევ დაახლოებით მილიონ ჰექტარ ფართობზე.

მაგრამ მაინც, აღნიშნა დეპუტატმა, არის შემთხვევები, როცა ცალკეული საწარმოები და ორგანიზაციები არღვევენ მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მოთხოვნებს, არ ზრუნავენ სახნავი ფენის დაცვისათვის. ჩვენ გვახარებს, რომ არის ნავთობი ბელორუსიის მიწაში, თქვა მან, მაგრამ ვერ შევურიგდებით, რომ ნავთობის მრეწველობის სამინისტროს საწარმოები უყაირათოდ ეკიდებიან მიწას: ხშირად ისინი ანადგურებენ ნათესებს, აჭუჭყიანებენ ნიადაგს ნავთობპროდუქტებითა და ქიმიური ხსნარებით, მინდვრად ტოვებენ ლითონის ჯართს.

ბელორუსიის მხარის ბუნება მდიდარი და მრავალფეროვანია. ახორციელებენ რა ლენინის ანდერძს, ბელორუსიის მშრომელები უფრთხილდებიან და ამრავლებენ ბუნებრივ სიმდიდრეებს, ცდილობენ მთლიანად და სავსებით ჩააყენონ ისინი ადამიანის, კომუნისტური მშენებლობის სამსახურში.

ამით დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვა დამთავრდა.

(საქტაგი).

საერთაშორისო უშიშროებისათვის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVII სესია

ნიუ-იორკი. 19 სექტემბერი. (საქტაგი). აქ მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მორიგმა 27-ე სესიამ.

სესიის დელეგატები მთავარ ყურადღებას დაუთმობენ განიარაღების, მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო უშიშროების პრობლემებს, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, კოლონიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ნაშთების საბოლოოდ ლიკვიდაციის საკითხებს. განიარაღების, მშვიდობის და უშიშროების განმტკიცების პრობლემებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი პუნქტები გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივით.

სესიის გახსნისას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის წინა 26-ე სესიის თავმჯდომარემ ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ადამ მალიკმა განაცხადა, რომ გასული წელი იყო საერთაშორისო ურთიერთობაში დიდი ცვლილებების წელი. ამასთან დაკავშირებით, თქვა მან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებანი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ეს საფუძველს გვაძლევს ვიქონიოთ იმედი, რომ უახლოეს მომავალში მიღწეული იქნება უფრო ყოვლისმომცველი შეთანხმება განიარაღების შესახებ.

გენერალურმა ასამბლეამ თავის თავმჯდომარედ 27-ე სესიის პერიოდში ერთსულოვნად აირჩია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სტანისლავ ტრეპჩინსკი. ამ მაღალ პოსტზე სახალხო პოლონეთის წარმომადგენლის არჩევა მოწმობს მსოფლიოში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ყველა სოციალისტური ქვეყნის საშვიდობო პოლიტიკის დიდ ავტორიტეტსა და პატივისცემას, რომლებთანაც მჭიდრო თანამშრომლობით იგი შეთანხმებულად და ურღვევად მოქმედებს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განსამტკიცებლად.

მიმართა რა დელეგატებს, ს. ტრეპჩინსკიმ აღნიშნა სრულიად ევროპის თათბირის მომზადების მნიშვნელობა, რომლის მიზანი ის არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად გადაჭრას ევროპის რეგიონალური უშიშროებისა და თანამშრომლობის პრობლემა.

ამასთან დაკავშირებით ს. ტრეპჩინსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელსაყრელმა ცვლილებებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია მსოფლიოს ყველა რაიონამდე. ინდოჩინეთში, თქვა მან, კვლავ იღვრება სისხლი. ჩვენ სამართლიანად მოველით ამ ამორალური ომის დამთავრებას, თქვა მან.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, ტრეპჩინსკიმ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღონისძიებათა მიუხედავად, მსოფლიოს ამ რაიონში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, თქვა მან, უნდა მოითხოვოს, რომ უსიტყვოდ შეასრულონ ყველა მისი გადაწყვეტილება, რომლებიც მიზნად ისახავენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიან პოლიტიკურ მოწესრიგებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანა — მსოფლიოს განთავისუფლება ომის ხიფათისაგან — ვერ შესრულდა, თქვა შემდეგ ტრეპჩინსკიმ. ამიტომ, თქვა მან, უნდა განვახორციელოთ კიდევ უფრო გადამჭრელი ღონისძიებანი გამანადგურებელი შეიარაღების შეზღუდვისათვის, კონფლიქტების მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ გამოთქვა რწმენა, რომ ამჟამინდელი სესია კონსტრუქციული შედეგებით დაგვირგვინდება.

საქართველოს მთა-ბარში

ქართველი ახალგაზრდობის სტუმრები

საქართველოში ოთხ დღეს იყო მექსიკის ახალგაზრდობის წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის მოწვევით. იგი ეცნობოდა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მზადებას სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის.

დელეგაციის წევრები, რომელსაც მეთაურობს რამონ ოხედა, მექსიკის ახალგაზრდობის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ეწვივნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, აქ გაიმართა მეგობრული საუბარი საწარმოს კომკავშირულ აქტივთან. მექსიკელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები იყვნენ ყვარლის რაიონში, სადაც გამოიკითხეს, თუ როგორ ცხოვრობს, შრომობს სოფლის ახალგაზრდობა. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ისინი შეხვდნენ კომკავშირულ აქტივს. შეხვედრის დროს სტუმრებმა მასპინძლებს მისცეს ბევრი შეკითხვა, რომლებიც ეხება მეცნიერული კადრების აღზრდას, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობას, სტუდენტების ყოფაცხოვრებასა და დასვენებას.

დელეგაცია ესაუბრა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ლ. სანაძეს.

მექსიკელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები მიიღო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ი. გამრეკელმა.

(საქინფორმი).

თერჯოლიდან პოლონეთში

თერჯოლა. (საკ. კორ.). რიტმულად და რენტაბელურად მუშაობს თერჯოლის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი. ფაბრიკა წარმატებით ასრულებს საიუბილეო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. აქ რვა კაპიკით შეამცირეს კილოგრამი ჩაის თვითღირებულება და ათას მანეთობით ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

თერჯოლის ჩაი ცნობილია არა მარტო საბჭოთა ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ამ დღეებში 18 ათასი კილოგრამი თერჯოლური ჩაი გაეგზავნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს. აქაური ჩაი ყველგან მოწონებით სარგებლობს.

დიდი მოგება

თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მუშამ თინათინ მიხეილის ასულმა ხატიაშვილმა ოქტომბრის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა სახელმწიფო სამპროცენტიანი სესხის 166252 სერიის № 13 20-მანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც მოგებად ხვდა 2500 მანეთი.

თ. დრიძე,
ოქტომბრის რაიონის ცენტრალური შემნახველი სალაროს გამგე.

შემთხვევა

◆

აბობოქრებულ მდინარეს გამოსტაცა

ცაგერი. (საკ. კორ.). ზაფხულის ცხელი დღე იდგა. ცაგერის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის ორი მოსწავლე — მამუკა ახვლედიანი და ნოდარ ხილაგაძე ცხენისწყლის პატარა შენაკადში ჭყუმპალაობდნენ. მოულოდნელად მდინარემ ადიდება იწყო. ბიჭებმა კი ეს ვერ შენიშნეს და პატარა კუნძულზე აღმოჩნდნენ, რომელიც თანდათან წყლით იფარებოდა.

მოახლოებული საფრთხე რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში შეიტყვეს. ბავშვების გადარჩენა საპასპორტო მაგიდის უფროსმა რომან კალანდაძემ იკისრა. იგი სწრაფად გაჩნდა შემთხვევის ადგილზე და ბავშვები აბობოქრებულ მდინარეს გამოსტაცა.

ათასნაირი ამბები

◆

ყინული ციდან

როგორ დიდი იყო პატარა სოფელ ბურნის (შვეიცარია) მცხოვრები გლეხების გაკვირვება, როდესაც დღისით-მზისით შუა სოფელში ციდან 10-კილოგრამიანი ყინულის ნატეხი ჩამოვარდა. შვეიცარიის ცენტრალური მეტეოროლოგიური სადგური ამჟამად იკვლევს „ბუნების სასწაულს" და ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე უმაგალითო სიდიდის სეტყვის მარცვალი იყო ეს თუ თვითმფრინავიდან ჩამოვარდნილი ყინულის ნატეხი.

მოდის მსხვერპლნი

დასავლეთ ბერლინის პოლიციის ხელმძღვანელობა სამართლიანად არის შეშფოთებული იმის გამო, რომ ახალგაზრდა პოლიციელებს ქუდიდან გადმოყრილი კულულები მხრებსა და სახეს უფარავს. მოდას აყოლილი წესრიგის დამცველნი მოსახლეობაში ავტორიტეტით ვერ სარგებლობენ და მათ დაცინვით „ქალბატონებს" ეძახიან.

პოლიციის ბოსები იძულებული გახდნენ გამოეტანათ სპეციალური დადგენილება, რომელიც საზღვრავს პოლიციელთა ვარცხნილობას. თმა საყელომდე არ უნდა იყოს ჩამოგრძელებული და არ უნდა ფარავდეს თვალებს. — ნათქვამია დადგენილებაში. — წვერ-ულვაში მოკლედ უნდა იყოს შეკრეჭილი.

უკრაინული ლიტერატურის დღეები აფხაზეთში

სოხუმი, 20 სექტემბერი. (საქინფორმის კორ.). აფხაზეთში უკრაინული ლიტერატურის დღეებზე ჩამოვიდა უკრაინელ მწერალთა დელეგაცია. ეს უკრაინელი მეგობრების საპასუხო ვიზიტია: მიმდინარე წლის გაზაფხულზე დიდი წარმატებით ჩაიარა აფხაზური ლიტერატურის დღეებმა ოდესის ოლქში. მწერლთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, ცნობილმა უკრაინელმა პოეტმა სტანისლავ სტრიჟენიუკმა თქვა:

— უკრაინული ლიტერატურის დღეები აფხაზეთში კიდევ უფრო დაგვაახლოვებს. ჩვენ გავეცნობით არა მარტო თქვენი ხალხის კულტურას, არამედ მის ყოფა-ცხოვრებას, შრომას. ვეწვევით კოლმეურნეობებს, სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, კურორტებს.

ჩამოსულ მწერლებს შორის არიან ივანე გაიდაენკო, ვლადიმერ ივანოვიჩი, ვლადიმერ გეტმანი, ალექსანდრე უვაროვი, ანატოლი კოლესნიჩენკო, ლიტერატურული კრიტიკოსი, პროფესორი მიხეილ ლევჩენკო.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი, გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. მწერლები იყვნენ აგრეთვე აფხაზური ლიტერატურის პატრიარქის დ. ი. გულიას საფლავზე. ძეგლის კვარცხლბეკი სტუმრებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს.

აფხაზეთის მწერალთა კავშირში გაიმართა საუბარი. კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ი. თარბამ ილაპარაკა აფხაზურ ლიტერატურაზე, რომელიც ჩამოყალიბდა მოძმე ეროვნულ ლიტერატორებთან, პირველ რიგში ქართულ, რუსულ, უკრაინულ ლიტერატორებთან შემოქმედებითი ურთიერთობითა და დახმარებით.

ს. სტრიჟენიუკმა დამსწრეთ გაუზიარა ოდესის მწერალთა ორგანიზაციის შემოქმედებითი გეგმები. მან აფხაზეთის მწერალთა კავშირს გადასცა საჩუქარი — ტარას შევჩენკოს ბიუსტი. წაიკითხა დიდი კობზარის ლექსი „კავკასიონი", რომელსაც აფხაზი მკითხველი კარგად იცნობს დიმიტრი გულიას თარგმანით.

ფილარმონიის თეატრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა აფხაზეთში უკრაინული ლიტერატურის დღეები.

არქეოლოგები ხევში

ყაზბეგი. (საკ. კორ.). დარიალის ხეობაში მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და ალ. ყაზბეგის სახელობის ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც გ. ლამბაშიძე ხელმძღვანელობს.

ექსპედიციის მიზანია შეისწავლოს ხევის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, აგრეთვე ნასახლარები, საკულტო ძეგლები, სამაროვნები და სხვ. ეს სამუშაოები მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

დღემდე ჩატარებული მუშაობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ექსპედიცია გაამართლებს თავის დანიშნულებას. სამაროვანში, რომელიც ექსპედიციის წევრებმა თერგის მარჯვენა ნაპირას იპოვნეს, მიაკვლიეს ძვირფას არქეოლოგიურ მასალას — საუცხოო ფორმის მინის ჭურჭელს, ვერცხლის თვლიან ბეჭდებს, მინისა და ქვის მძივებს, თიხის ჭურჭელს. ოქროს საყურეებსა და სხვ.

ექსპედიცია მუშაობას აგრძელებს.

მუშური დახმარება

რუსთავი. (საკ. კორ.). ქალაქის ორი მსხვილი საწარმოს — მეტალურგიული ქარხნისა და № 1 სამშენებლო ტრესტის მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა, როცა რუსთავში პირველი ხარაჩოები გაჩნდა. მეზობელი კოლექტივები ერთმანეთს ხშირად უწვდიან დახმარების ხელს. ასე მოხდა ამ ბოლო ხანებშიც. ათობით მშენებელი ეწვია მეტალურგიულ ქარხანას, რომ დახმარებოდნენ რკინიგზის ვაგონების დროულად გადმოცლაში, სარემონტო სამუშაოების შესრულებაში.

მეტალურგებისადმი დახმარების საქმეში განსაკუთრებითი წვლილი შეიტანეს №№ 2, 5, 6, 8 სამშენებლო კოლექტივებმა.

საჭიროების შემთხვევაში მეტალურგებიც ეხმარებიან თავიანთ მეგობრებს.

ჩვენი კულტურის ძეგლები

გრემის ციხე

ზ. დათუაშვილის ფოტო.

დაიწყო საჭადრაკო ოლიმპიადა

სკოპლე, 20 სექტემბერი. (საქდესი). მე-20 საჭადრაკო ოლიმპიადის პირველი დღის მიწურულს საბჭოთა გუნდმა ბელგიის ნაკრებთან შეხვედრისას სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. პეტროსიანმა პირველ დაფაზე დაამარცხა ბოე, სმისლოვმა — კორნელისი, ტალმა — ბეიენი. კორჩნოის პარტია ვან სეტერსთან გადაიდო.

სტარტზე სიურპრიზები არ მომხდარა. ტურნირის ფავორიტები, რომლებიც სხვადასხვა წინასწარ ჯგუფში გამოდიან, გულდაჯერებულად თამაშობენ. ამასთან უმეტესად მათ პირველ ტურში შედარებით სუსტი მეტოქეები ჰყავდათ.

აი, ზოგიერთი შეხვედრის შედეგები: იუგოსლავია-ინგლისი — 2:1 (1 პარტია გადადებულია), უნგრეთი-ინდონეზია — 2,5:0,5 (1), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-არგენტინა — 2:0 (2), ჩეხოსლოვაკია-მონღოლეთი — 2,5:0,5 (1).

ამერიკელები, რომელთაც ოლიმპიადაზე მსოფლიო ჩემპიონი ფიშერი არ ჩამოჰყოლიათ, უგებენ — 2,5:0,5 ირანის გუნდს. შეჯიბრებაში მათი ლიდერის მონაწილეობის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თავისი პრინციპების ერთგულმა ფიშერმა ორგანიზატორებს დიდი ჰონორარი მოსთხოვა სკოპლეში გამოსვლისათვის.

ტურნირში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა სარეკორდოა — 63, ოლიმპიადაზე უკანასკნელი ჩამოვიდა სირიის გუნდი.

მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, საერთაშორისო ოსტატი ალა კუშნირი და სსრ კავშირის ჩემპიონი ირინე ლევიტინა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში გამოვლენ ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც 25 სექტემბერს იწყება იუგოსლავიის ქალაქ სკოპლეში.

მოჭადრაკე ქალები იუგოსლავიაში 24 სექტემბერს გაფრინდებიან.

საერთო-სახალხო საქმე

მოვუაროთ და დავიცვათ ჩვენი კულტურის ძეგლები

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ ქვეყნისა და ერის კულტურული დონე განიზომება არა მარტო ახლის მშენებლობით, ახალი ტექნიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებით, არამედ ეროვნული წარსულისადმი დამოკიდებულებითაც, წარსულის მიერ ნაანდერძევი მემკვიდრეობისათვის ზრუნვით, მისი მოვლა-პატრონობის ხარისხით.

ჩვენი ქვეყანა, როგორც ცნობილია, ძალიან მდიდარია ნივთიერი კულტურის ძეგლებით. ამ მხრივ თვალსაჩინო ადგილი გვიჭირავს ცივილიზებულ ერთა შორის. საქართველოში არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, სადაც ძველი ხუროთმოძღვრებისა და კედლის მხატვრობის მშვენიერი ნიმუშები არ იყოს დარჩენილი. ჩვენს მუზეუმებში თავმოყრილია ოქრომჭედლობისა და ხელნაწერთა ძვირფასი კოლექციები. ბოლო წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების წყალობით ქართული მატერიალური კულტურის ისტორიის ფარგლები დიდად გაფართოვდა, ჩვენში უკვე აღმოჩენილია სამშენებლო ხელოვნების ძეგლები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულშია შექმნილი.

ეს სიმდიდრე კანონიერი სიამაყის გრძნობით გვავსებს. ეს შესანიშნავი ძეგლები თვალნათლივ მოწმობს ჩვენი ხალხის დიდ ნიჭიერებას, მისი შემოქმედების დაუშრეტელ ძალას. მაგრამ, ამავე დროს, ეს უზარმაზარი განძი ძალიან დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს: რაც მეტი ძეგლი ჩნდება მიწის წიაღში და მიწის ზედაპირზე, მით უფრო მეტად იზრდება ჩვენი საზრუნავი, მით უფრო მეტი ახალი პრობლემა ისახება მეცნიერული კვლევისა და ძეგლთა მოვლისა და დაცვის თვალსაზრისით.

ქართული ხელოვნების ძეგლები უკვე კარგა ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. მათი შესწავლა უკვე გასულ საუკუნეში დაიწყეს ქართველმა, რუსმა და დასავლეთევროპელმა მეცნიერებმა. XIX საუკუნის ბოლო ათეული წლებიდან და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების გაღვივებასთან დაკავშირებით, დიდად გაცხოველდა მშობლიური წარსულისა და სიძველეებისადმი ინტერესი, ქართველმა ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა მეტი ენერგიით, უფრო სისტემატურად მოჰკიდეს ხელი ისტორიულ ძეგლთა აღნუსხვისა და შეგროვების საქმეს. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ მხრივ დ. ბაქრაძის მიერ დაარსებულ ქართულ საეკლესიო მუზეუმს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას და მის დაუღალავ მესვეურს ექვთიმე თაყაიშვილს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და სხვ.

მაგრამ, არსებითად, ძეგლთა დაცვის საქმე მაინც მოუგვარებელი იყო, რადგანაც იგი ვერ სცილდებოდა კერძო ინიციატივის ფარგლებს, სიძველეთა მოყვარულ ცალკეულ პირთა და საზოგადოებათა თაოსნობას. ქართული ხელოვნების რამდენი შეუდარებელი ნიმუში დაიკარგა ტაძრებიდან, ხუროთმოძღვრების რამდენი ძეგლი განადგურდა უპატრონობის ან ბარბაროსული დამოკიდებულების გამო!

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, კულტურის ძეგლებზე ზრუნვა პირველად იქცა სახელმწიფო, საერთო-სახალხო საქმედ. უკვე 1917 წლის ნოემბერში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა მოუწოდა ხალხს: „მოქალაქენო, ძველი პატრონები წავიდნენ, მათ შემდეგ დარჩა უზარმაზარი მემკვიდრეობა. ახლა იგი მთელ ხალხს ეკუთვნის... გაუფრთხილდით ამ მემკვიდრეობას, გაუფრთხილდით სურათებს, ქანდაკებებს, შენობებს — ისინი თქვენი და თქვენი წინაპრების სულიერ სიმძლავრეს განასახიერებენ... გახსოვდეთ, რომ ეს არის საფუძველი, რომელზედაც აღორძინდება თქვენი ახალი ხალხური ხელოვნება".

1921 წელს საქართველოს რევკომის დადგენილებით ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს და მთელი მისი ქონება, მთელი საეკლესიო განძეულობა სახალხო კუთვნილებად გამოცხადდა. საჭირო იყო ამ განძისა და თვით შენობების მოვლა-პატრონობის საქმის იმთავითვე მოწყობა. იმავე წლის აპრილში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში დაარსდა მუზეუმებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება, ხოლო 1923 წლის მარტში საგანგებო კომიტეტი, რომელმაც სპეციალური ცირკულარი დაუგზავნა ადგილობრივ ორგანოებს. ცირკულარში რესპუბლიკის მიწა-წყალზე მდებარე ძეგლები დაჯგუფებული იყო მათი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის მიხედვით, მითითებული იყო, რით უნდა ეხელმძღვანელათ ეკლესიების გაუქმებისა და მათი ქონების კონფისკაციის დროს.

რა თქმა უნდა, პირველ წლებში მაინც ბევრი სიძნელე იყო გადასალახავი, მაგრამ ეს სიძნელეები გადაილახა და მომდევნო წლებში ძეგლთა დაცვისა და აღდგენის საქმე თანდათან განუხრელად უმჯობესდებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ მხრივ სამამულო ომის დამთავრების შემდეგ. როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოში ხუროთმოძღვრულ ძეგლთა რესტავრაცია ძალიან დიდი მასშტაბით გაიშალა.

1948 წლის ოქტომბერში სსრკ მინისტრთა საბჭომ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილება კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად, ხოლო იმავე წლის ნოემბერში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანალოგიური დადგენილება. 1948 წელსვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა კულტურის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებს და მეცნიერულ მეთვალყურეობას უწევს ამ დარგში წარმოებულ საქმიანობას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1950 წელს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს დაარსებას — მას შემდეგ ეს სახელოსნო აწარმოებს მთელ პრაქტიკულ სარესტავრაციო მუშაობას.

დასასრულ, კულტურის ძეგლებისადმი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ 1959 წელს ჩამოყალიბდა კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოება — ეს პირველი ამგვარი საზოგადოება იყო საბჭოთა კავშირში. დღეს მის წევრთა რიცხვი 500.000-ს აღემატება.

ამგვარად, სახელმწიფო ზრუნვას არ აკლებს ჩვენი კულტურის ძეგლებს. ახლა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტსა და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შექმნილია ცალკე განყოფილებები, რომელთაც დაეკისრათ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარჩენილი და აღმოჩენილი ყველა ძეგლის აღნუსხვა და სათანადო წერილობითი და ეთნოგრაფიული დოკუმენტაციის შედგენა ყოველი მათგანისათვის. ეს მასალა მრავალტომეულის სახით გამოქვეყნდება ქართულად და რუსულად. ბოლო წლებში ჩატარდა ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლის გაწმენდა, გამაგრება და რესტავრაცია (ბოლნისის სიონი, თბილისის „ანჩისხატი", წრომის, სამწევრისის ტაძრები, „გრემლაანთ საყდარი", ატენის სიონი, ალავერდის ტაძარი, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, მცხეთის სვეტიცხოველი და მისი კარიბჭე, უბისის „სვეტი", კვეტერის ციხე, გორისა და ანანურის ციხეები და მრავალი სხვა). ჩვენი ძველი დედაქალაქი მცხეთა გამოცხადებულია ქალაქ-მუზეუმად. ხოლო სვანური სოფელი ჩაჟაში (უშგულის თემში) ნაკრძალად. დიდი მუშაობა წარმოებს ხალხური ხუროთმოძღვრების განსაცვიფრებელი ძეგლის, ციხე-სოფელ შატილის აღდგენა-გამაგრებისათვის. დასასრულ, თბილისში, ვაკის პარკის ზემოთ, შეიქმნა მუზეუმი ღია ცის ქვეშ — „ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი", რომელშიაც თავმოყრილი იქნება საქართველოს ყველა კუთხის ხალხური საცხოვრებელი სახლების დამახასიათებელი ნიმუშები. ასეთი მუზეუმი სულ რამდენიმეა ევროპაში. ზოგ ძეგლში მუზეუმები ეწყობა, რაც აგრეთვე დიდად შეუწყობს ხელს კულტურული პროპაგანდის საქმეს.

და მაინც ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ძეგლთა დიდი ნაწილი შეუკეთებელია და სასწრაფო შველას მოითხოვს. უარესია ცალკეულ პირთა და ორგანიზაციათა შეუგნებელი და ზოგ შემთხვევაში — ეს სამწუხარო ფაქტია, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს — მტრული დამოკიდებულებაც კი ძეგლებისადმი. ვერ იქნა და ვერ გადაეჩვია ჯღაბნას ზოგიერთი ტურისტი და ექსკურსანტი — ზოგი მათგანი დიდ „შრომასაც" ეწევა: სატეხი იარაღით კვეთენ წარწერებს, ხელი არ აუკანკალდებათ ხოლმე, როდესაც შეუდარებელი სილამაზის ფრესკებს სპობენ (ასე იქცეოდნენ წარსული საუკუნის ბარბაროსი დამპყრობლები, რომლებიც საგანგებოდ თვალებს თხრიდნენ კედლებზე დახატულ წმინდანებსა და ისტორიულ პირებს). ჩვენი ძეგლების მშენებლებისა და მომხატველების ვინაობა უმეტესად უცნობია — ისინი იმდენად თავმდაბალნი იყვნენ, რომ თავისი სახელის უკვდავყოფისათვის არ ზრუნავდნენ; სამაგიეროდ, ზოგიერთი უგუნური დამთვალიერებელი სრულ ინფორმაციას გვაწვდის, თუ როდის და ვისთან ერთად მოინახულა (საუბედუროდ!) ესა თუ ის ძეგლი, ვინ არის და საიდან არის მოსული!

ზოგი ამასაც არ სჯერდება: 1969-70 წლებში დმანისის რაიონში განგებ მოსპეს XI საუკუნის ძეგლი — მოჩუქურთმებული ქართული წარწერიანი ჯვარი, ააფეთქეს ძველი სამრეკლო. ბოროტმოქმედნი დღემდე არ არიან აღმოჩენილნი. დუშეთის რაიონის სოფელ მჭადიჯვარში XVII საუკუნის ტაძარს, იმ ეპოქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს, რომელიც სკოლის ეზოშია, სამჭედლო მიაშენეს და აღმოსავლეთის ფასადი დაამახინჯეს. სამწუხაროდ, მათთვის ჯერ პასუხიც არავის მოუთხოვნია. ძეგლებისადმი უდიერი დამოკიდებულების ფაქტები გამოვლინდა აგრეთვე თეთრი წყაროს, ცხაკაიას, და სხვა რაიონებში. ისიც ცნობილია, როდესაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1970 წლის ნოემბერში დაადგინა შეეწყვიტა მოწამეთის კარიერის ექსპლოატაცია, რაკი აფეთქება დაზიანებას უქადდა გელათის ტაძარს, ზოგიერთნი შეეცადნენ გაეჭიანურებინათ ამ დადგენილების შესრულება.

რა თქმა უნდა, ასეთი დამოკიდებულება ძეგლებისადმი დამახასიათებელი არ არის. ჩვენ ბევრი გვყავს კულტურის ძეგლთა ნამდვილი გულშემატკივარი, რომლებიც უანგაროდ ზრუნავენ ძეგლებისათვის და სხვებსაც უნერგავენ წინაპართა ნახელავისადმი პატივისცემას. მაგრამ ზემოთჩამოთვლილი ცალკეული მაგალითებიც საკმარისია, რომ დააბრკოლოს ის უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც ასეთი გულისყურით ეკიდებიან პარტია და ხელისუფლება.

ნივთიერი კულტურის ძეგლთა დაცვის. მათი დაზიანების აღკვეთისა და დამნაშავეთა გამოვლენისათვის საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო საგანგებო კანონი (რომელიც „კომუნისტის" დღევანდელ ნომერში იბეჭდება), რაც ამ გულისხმიერებისა და ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა. მაგრამ ყველამ უნდა გვახსოვდეს, რომ კანონი მაშინ გამოიღებს ჭეშმარიტ ნაყოფს, თუ მთელი საზოგადოებრიობა, ყოველი მოქალაქე, დიდი და პატარა, მოსწავლე და მასწავლებელი, მუშა და კოლმეურნე, ქალაქელი თუ სოფლელი — თავის საკუთარ, ძვირფას საქმედ მიიჩნევს ჩვენი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე ასეთი შთაგონებით შექმნილი საუნჯის მოვლისა და დაცვის საქმეს.

ვახტანგ ბერიძე,
პროფესორი, კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

ტორპედოელები დამარცხდნენ

გაიმართა „ა" კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. უკანასკნელ მატჩებში ქუთაისის „ტორპედომ" საგრძნობლად გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა და უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი პრეტენდენტი გახდა. ტორპედოელებს გასვლითი თამაში ჰქონდათ კრივოი როგში „კრივბასთან". ამ მატჩის შედეგს ავტოქარხნელთა გულშემატკივრები იმედით ელოდნენ, მაგრამ ქუთაისელები დამარცხდნენ აუტსაიდერთან ანგარიშით 1:3.

ოდესაში „ჩერნომორეცმა" დაამარცხა ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 4:1, ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" — დონეცკის „შახტიორი" — 2:0, იაროსლავლის „შინნიკმა" — ყარაგანდის „შახტიორი" — 1:0, ტაშკენტის „პახტაკორმა" — აშხაბადის „სტროიტელი" — 2:0, ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ საკუთარ მოედანზე ხარკოვის „მეტალისტი" სვერდლოვსკის „ურალმაშთან" და ივანოვოს „ტექსტილშჩიკი" კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან". კიშინიოვის „ნისტრუ" მასპინძლობდა ნალჩიკის „ავტომობილისტს". პაექრობა დამთავრდა ფრედ — 0:0. ლენინგრადში „დინამო" ეთამაშებოდა პერმის „ზვეზდას". ასპარეზობის საბოლოო შედეგია — 2:2. ასევე დამთავრდა დუშანბეში „პამირისა" და ფრუნზეს „ალგას" მატჩი.

გათამაშების ცხრილი

პირველი ლიგა

მდგომარეობა 21 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„პახტაკორი"	29	18	6	5	50-22	42
„ჩერნომორეცი"	29	16	7	6	56-29	39
„შახტიორი" (დ.)	29	13	11	5	40-16	37
„ტორპედო"	29	16	4	9	40-23	36
„შინიკი"	29	14	8	7	33-24	36
„ზვეზდა"	30	12	11	7	35-30	35
„კრილია სოვ".	29	9	15	5	34-26	33
„პამირი"	29	10	10	9	36-38	30
„სპარტაკი"	29	10	9	10	33-37	29
„ალგა"	30	8	12	10	32-30	28
„შახტიორი" (ყ.)	30	9	10	11	30-38	28
„ტექსტილშჩ."	29	9	9	11	28-38	27
„ავტომობილ."	28	7	12	10	22-31	26
„სტროიტელი"	30	9	8	13	30-46	26
„მეტალურგი"	29	9	7	13	36-38	25
„ნისტრუ"	29	7	10	12	27-34	25
„მეტალისტი"	29	7	9	13	24-32	23
„კრივბასი"	29	6	9	14	36-50	21
„დინამო"	29	5	10	14	21-42	20
„ურალმაში"	29	5	9	15	25-44	19

მეგობრული თამაშები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თაოსნობით, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტკომიტეტები შეთანხმდნენ წლევანდლიდან ყოველწლიურად (სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის წლის გარდა) გამართონ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტსმენთა მეგობრული თამაშები. წლევანდელი ღონისძიება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. პირველი თამაშების პროგრამაში სპორტის 30 სახეობაა შეტანილი. ტურნირები თბილისში, ბაქოსა და ერევანში თითქმის ერთდროულად ათ-ათ სახეობაში გაიმართება.

თბილისის „ლოკომოტივის" საცურაო აუზში დაიწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეგობრული თამაშებით გათვალისწინებული წყალბურთელ იუნიორთა შეჯიბრება, რომელიც ორ წრედ გაიმართება. პირველი წრის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და სომხეთის ნაკრები გუნდები. ქართველმა წყალბურთელებმა სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ ანგარიშით 2:3. გუშინ გაიმართა სომხეთისა და აზერბაიჯანის წყალბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს აზერბაიჯანელმა სპორტსმენებმა ანგარიშით — 7:4.

ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო

მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე დაიწყო სოციალისტური ქვეყნების დინამოელ ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის „სპარტაკ-ლევსკი", უნგრეთის „დოჟა", გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „დინამო", პოლონეთის „გვარდია", კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის „ამნოკანი", რუმინეთის „დინამო", ჩეხოსლოვაკიის „რუდა გვეზდა" და სსრ კავშირის „დინამო". ჩვენი ქვეყნის გუნდი დაკომპლექტებულია მოსკოვის, თბილისის, კიევის და მინსკის ჭაბუკი ფეხბურთელებით. პირველ ტურში ჩვენმა ჭაბუკებმა 1:0 დაამარცხეს კორეელი სპორტსმენები, ხოლო მეორე ტურში დიდი ანგარიშით 4:0 გდრ-ის გუნდი.

სპორტი

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

21 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — კინონარკვევი — „ნადიდი", 11.15 — მხატვრული ფილმი — „ჯურხაი", 13.00 — სატელევიზიო ფილმი — „ქალიშვილი", 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები, 14.30 — ბურგასის მე-3 საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი. ბულგარეთის ანსამბლის გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმები, 18.50 — გადაცემა — „ერთი ჩვენთაგანი", 19.05 — განცხადებები, 19.10 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — „თურქმენეთის ახალგაზრდობა", 20.15 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ფერადი ტელევიზია. ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე—ცსკა-„სპარტაკი" (მოსკოვი) შეხვედრის მეორე ნახევარი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — „იარაღი" (მწერალ ე. თათარიშვილის დაბადების 100 წლისთავის გამო).

მეორე პროგრამით

17.05 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (მეცხრეკლასელთათვის — „ელექტროლიტური დისოციაცია"), 17.50 — მასწავლებლის საათი — დაწყებითი კლასები („დიდაქტიკური თამაშები მოსამზადებელ კლასებში"), 18.35 — განცხადებები, 18.40 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მასალათა გამძლეობაში, 19.40 — პოლიტიკურ ეკონომიაში, 20.40 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი — „დიადი მეგობრობის ფურცლები".

22 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — სკოლების დასახმარებლად: ზოგადი ბიოლოგია (მეცხრეკლასელთათვის), 11.30 — ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ზოლიანი რეისი", 12.35 — კინონარკვევი, 13.00 — სკოლების დასახმარებლად: ზოგადი ბიოლოგია (მეცხრეკლასელთათვის) (განმეორებით), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის. ტელესტუდია „ორლიონოკის" ნორჩ კორესპონდენტთა შეხვედრა პირველ მემანქანე ქალთან ტროიცკაიასთან. (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „ატამანი კოდრი", 19.15 — „ჩვენი სოფლის კლუბი", 19.35 — გადაცემა „ჩვენი ქალაქი", 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ფერადი ტელევიზია. საერთაშორისო შეხვედრა ჰოკეიში: საბჭოთა კავშირი-კანადა (გადმოცემა მოსკოვიდან) შესვენების დროს საინფორმაციო პროგრამა — „მოამბე", 22.45 — [illegible] (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.05 — მასწავლებლის საათი: მათემატიკა (თვალსაჩინოების გამოყენება მათემატიკის გაკვეთილებზე IV კლასში). 17.50 — სკოლების დასახმარებლად: ანატომია. ორგანიზმის შინაგანი გარემო (პირველი გადაცემა), 18.35 — განცხადებები, 18.40 — სტუდენტთა დასახმარებლად — მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში: 19.40 — სსკპ ისტორიაში, 20.25 საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმები.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივანი — 99-72-80, ხამდივნისა — 99-66-10, განყოფილებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-68, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უა 02669 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.